რატომ ევროპა –

როგორ ცხოვრობს ხალხი ევროპის ქვეყნებში?

ალექსანდრე ცაგარელი — ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის (თსუ) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი. თსუ-ის ბაკალავრისა და მაგისტრის წოდება სოციოლოგიაში და ბარსელონას Pompeu Fabra-ს უნივერსტეტის მაგისტრის წოდება სოციოლოგიასა და დემოგრაფიაში. იგი გახლავთ სამაგისტრო პროგრამებზე ლექტორი თსუ-სა და GAU, თსუ, კავკასიის უნივერსტეტის საერთო პროგრამებზე.

ბაქარ ბერეკაშვილი — ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებისა და სოციოლოგიის პროფესორი და საქართველოს პირველი არხის ანალიტიკოსი. მისი აკადემიური და კვლევითი ინტერესების სფეროს განეკუთვნება თვისობრივი კვლევები, კრიტიკული სოციოლოგია, პოსტკომუნისტური პოლიტიკა და საზოგადოება, საბჭოთა კავშირი (ცხოვრება და სოციალური წესრიგი), მმართველი ელიტები კაპიტალიზმსა და სოციალიზმში, დემოკრატიის პრობლემები, სოციალური და პოლიტიკური თეორია, პოლიტიკური სოციოლოგია, სახელმწიფო, ძალაუფლება და იდეოლოგია, ნაციონალიზმი და მეხსიერების პოლიტიკა ევროპაში.

გია ჟორჟოლიანი — დოქტორი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პოლიტიკური პარტია „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“ თავმჯდომარე 2010-2020 წლებში, საქართველოს სამი მოწვევის (1992, 2012, 2016) პარლამენტის წევრი. არის არაერთი აკადემიური პუბლიკაციის, მათ შორის სტატიებისა და სახელმძღვანელოს ავტორი.

თორნიკე ჩივაძე — ბუდაპეშტის კორვინუსის უნივერსიტეტის სოციოლოგიის მაგისტრი. მის ინტერესთა სფეროებს განეკუთვნება: პოსტსაბჭოთა ტრასნფორმაცია და კაპიტალიზმის ნაირსახეობების შედარებითი ანალიზი.

საზოგადოების კვლევის ცენტრი

საზოგადოების კვლევის ცენტრი

რატომ ევროპა –

როგორ ცხოვრობს ხალხი ევროპის ქვეყნებში?

სტატიების კრებული

თბილისი
2022

UDC (უაკ) 330·59 (4)
რ–267

კრებული გამოიცა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით. კრებულში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები. დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე.

Project supported by the Friedrich-Ebert-Stiftung.The views expressed in this publication belong to the experts. Commercial use of all media published by the FES is not permitted without the written consent of the Friedrich-Ebert-Stiftung.

ავტორები: ალექსანდრე ცაგარელი
ბაქარ ბერეკაშვილი
გია ჟორჟოლიანი
თორნიკე ჩივაძე

© Friedrich-Ebert-Stiftung, 2022

ISBN 978-9941-8-5103-2

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა „საზოგადოების კვლევის ცენტრის პროექტის ფარგლებში, რომელიც განხორციელდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგნელობის მხარდაჭერით.

სარჩევი

შესავალი: რატომ ევროპა? 5
გია ჟორჟოლიანი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ:
პოლიტიკური და სოციალური რეკონსტრუქციები ევროპაში 15
ბაქარ ბერეკაშვილი

პასუხისმგებელი სახელმწიფო და კეთილდღეობის ინსტიტუტები..... 31
ალექსანდრე ცაგარელი
თორნიკე ჩივაძე

შესავალი: რატომ ევროპა?

გია ჟორჟოლიანი

სამი ათწლეული გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. პოლიტიკის თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში მიუხედავად მწვავე დაპირისპირებებისა, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის ევროპული განვითარების გზა იყო და რჩება წამყვან ორიენტირად ქვეყნის მომავლის ხედვაში. ყველა იმ სასურველი სიკეთის, რისკენაც ჩვენი მოქალაქეები მიისწრაფვიან, რეალურ ცხოვრებაში არსებობის ადგილად ევროპას წარმოვიდგენთ. კეთილდღეობის, წესრიგის, ეკონომიკური წარმატების, სამართლიანობისა და თავისუფლების პრაქტიკულ (და თეორიულ) მაგალითებს ქართველები ვპოულობთ და ვხედავთ ევროპულ ქვეყნებში. მეტიც, საბჭოთა კავშირის დროსაც მოწინავე განვითარების ნიმუშად საქართველოში ევროპული განვითარების გზა მიიჩნეოდა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე საქართველოს განვითარებაში რუსეთის დადებითი როლის წარმოჩენისას ხაზს უსვამდა, რომ რუსეთთან ერთიანობის მეშვეობით საქართველო ევროპულ კულტურას დაუახლოვდა და ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მიღწევაა: „რუსეთთან ერთიანობის მეოხებით, საქართველო ეზიარა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას, მისი მეშვეობით კი ევროპულ კულტურას“.[1]

თავად საბჭოთა კავშირიც, მიუხედავად ევროპული წესრიგის, როგორც კაპიტალისტურის მიმართ, მწვავე კრიტიკული დამოკიდებულებისა, მოსახლეობისა და ელიტების, საზოგადოებრივი აზრისა და ოფიციოზის მიერ არ განიხილებოდა, როგორც ანტიევროპული ფენომენი. საბჭოთა „ცივილიზაცია“ (მთელი კომუნისტური ბლოკი), შეიძლება ითქვას, აღიქმებოდა როგორც ევროპული განვითარების ვერსია (დასავლეთ ევროპულისგან განსხვავებული). სოციალისტური იდეების ევროპულმა წარმომავლობამ სრულად დაჩრდილა ცარიზმის დროინდელი XIX საუკუნის სლავოფილური ექსკლუზიონისტური (რუსეთის) იდეები. XX საუკუნის 20-იან წლებში შედარებით შეზღუდულ აკადემიურ სივრცეში გავრცელებული და დღეისთვის პოსტსაბჭოთა რუსეთში აღორძინებული ევრაზიულობის იდეა პრაქტიკულად უკიდურესად მარგინალიზებული ან სრულიად გამქრალი იყო II მსოფლიო ომის შემდგომ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დისკურსში.

[1] ედუარდ შევარდნაძე, გაზეთი „კომუნისტი“ 1983 წლის 30 ოქტომბერი.

საქართველოში კიდევ უფრო ძლიერი იყო მისწრაფება ევროპული განვითარებისკენ და თავად ქართული კულტურა ევროპულ კულტურად განიხილებოდა. XIX საუკუნეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი პრინციპები, ეროვნული თვითშეგნების, ნაციონალიზმის, ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხედვები იზიარებდა და ეყრდნობოდა იმავე საფუძვლებს, რომლებიც თანამედროვე ევროპაში იყო გავრცელებული. კიდევ უფრო განმტკიცდა ევროპულობისკენ მისწრაფება I რესპუბლიკის არსებობის ხანმოკლე პერიოდში (1918-1921), ხოლო ევროპელი სოციალ-დემოკრატების მიერ ქართველი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკა და რეფორმები ფართო აღიარების და მხარდაჭერის საგანი გახდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ახალი ევროპული მოდელი, რომელიც იმავდროულად „დასავლურადაც" მოიხსენიებოდა, პრაქტიკულად უალტერნატივო მიზნად იქცა როგორც პოლიტიკურ, ასევე საზოგადოებრივ დისკურსში. დაინგრა რა საბჭოთა კავშირი, საბჭოთა წესრიგმა (პოლიტიკურმაც და ეკონომიკურმაც) პრაქტიკულად სრულად დაკარგა ლეგიტიმაცია. სისტემური, მეტ-ნაკლებად მწყობრი საბჭოთა იდეოლოგია მყისიერად გაქრა, რაც იმის შედეგიც იყო, რომ ბოლო ათწლეულებში ის სერიოზულ კრიზისში იმყოფებოდა და, შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად მხოლოდ ოფიციალურად იყო დამკვიდრებული, რომლის მიმართ რწმენა და ენთუზიაზმი რადიკალურად მცირდებოდა არა მხოლოდ ხალხში, არამედ მმართველ ელიტურ ჯგუფებშიც კი. ამგვარი იდეოლოგიური სიცარიელის პირობებში ერთადერთი მოაზრებადი განვითარების ორიენტირის ადგილს იკავებს „დასავლური/ევროპული" მოდელი. გაჩნდა განწყობა, რომელიც საქართველოში, ასევე აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ყოფილ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, გაბატონდა: თუ საბჭოთა წესრიგს უარვყოფთ, ჩვენ ვიქნებით როგორც ევროპა. დემოკრატია, კერძო საკუთრება და საბაზრო ეკონომიკა საკრალურ სიტყვებად იქცა ყველა იდეის ლეგიტიმაციისთვის, რომელიც პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ წესრიგს ეხებოდა. პრინციპში, ეს ერთგვარად ეხმაურებოდა საბჭოთა იდეოლოგიურ (და ხშირად აკადემიურ) ტრადიციასაც, როდესაც მთავარი არგუმენტები მსჯელობასა და ანალიზში ამა თუ იმ მოსაზრების ან დებულების დამაჯერებლობისთვის მისი მარქსიზმის კლასიკოსების ნაშრომებსა და მოსაზრებებთან დაკავშირება იყო. ვულგარიზებული იდეოლოგიური პრინციპები და მეთოდოლოგიური ინერცია კარგი საყრდენი აღმოჩნდა ახალი, ასევე ვულგარიზებული სქოლასტიკური და ზედაპირული თეორიებისა და იდეოლოგიების დასამკვიდრებლად.

ცხოვრება ბევრად უფრო რთული და კომპლექსური სინამდვილის მომტანი იყო, ვიდრე მას ეს ახალი სქოლასტიკა წარმოგვიდგენდა. მიუხედავად იმისა, რომ „ევროპულ/დასავლური" მოდელი განვითარების უალტერნატივო გზად განიხილებოდა, ეკონომი-

კური და პოლიტიკური ტრანსფორმაციის შედეგად ჩნდებოდნენ სხვადასხვა ინტერესებისა და მისწრაფების სოციალური და პოლიტიკური ჯგუფები, რომელნიც საკუთარ ინტერესებს არგებდნენ „ევროპულ მოდელს“.

სინამდვილეში, ჩამოყალიბდა არსებითად არაადეკვატური ხედვა ე.წ. „ევროპული მოდელისა“, რომელიც გამრუდებულ წარმოდგენას ქმნიდა ევროპულ სინამდვილეზე. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში (და სხვა პოსტსაბჭოთა სივრცეში) შექმნილი **ევროპის ხატი არ შეესაბამება ევროპის ქვეყნების სინამდვილეს.**

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ გამრუდებული ხედვის ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად (და არსებითად) შეუწყო ხელი თავად დასავლეთის პროპაგანდამ და 80-იანი წლებიდან გავრცელებულმა გლობალიზაციის ნეოლიბერალურმა ვერსიამაც. დასავლეთ ევროპასთან გეოგრაფიულად უფრო ახლოს მყოფ და ევროპული სინამდვილის უფრო მცოდნე ქვეყნებში მალე ჩნდება გამოთქმა, რომელიც ვესტერნიზაციისა და ევროპეიზაციის დასავლელ მესვეურთა პოზიციის დასახასიათებლად გამოიყენებოდა: ისინი (დასავლელი პარტნიორები) გვეუბნებიან, გააკეთეთ ისე, როგორც ჩვენ გეუბნებით, და არა ისე, როგორც ჩვენ ვაკეთებთ (Do as we say and not as we do).

ქვემოთ შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ თავისუფლებისა და საბაზრო პრინციპების პარალელურად, თანამდეროვე ევროპული ქვეყნების განვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ჩვენში სრულად იგნორირებულმა ისეთმა იდეებმა, როგორებიცაა სახელწმიფოს წარმმართველი როლი (ფრანგული დირიჟიზმი), საბაზრო ეკონომიკის სოციალური განვითარება (გერმანული სოციალური საბაზრო ეკონომიკა), სოციალური თანასწორობა, სოციალური დიალოგი და ა.შ..

დროა გავაცნობიეროთ, რომ ის, რაც ჩვენ წარმოგვიდგენია ევროპის ხატად, არ არის ევროპა; წესრიგი, რომელიც ჩვენში მკვიდრდება, არაა ევროპული, და გზა, რომელსაც ჩვენ ვადგავართ, არ მიგვიყვანს ევროპულ მოდელთან მისი ფუნდამენტური გადააზრებისა და შეცვლის გარეშე.

მიზანი: ევროპეიზაცია!

რატომ მივისწრაფვით ევროკავშირში გაწევრიანებისკენ? იმიტომ, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ცხოვრების ისეთი პირობები და წესებია, ადმიანების უდიდეს უმრავლესობას რომ უნდა იყოს ჩვენს ქვეყანაშიც: სამართლიანობა და დაცული თავისუფლებები, დასაქმების ბევრად მაღალი დონე, ღირსეული საშუალო და მინიმალური ხელფასები და პენსიები, ყველასთვის ხელმისაწვდომი მაღალი ხარისხის ჯანდაცვა და განათლება

(საბავშვო ბაღიდან — უმაღლესი განათლების ჩათვლით), ღირსეული სოციალური უზრუნველყოფა, მოწინავე ეკონომიკა და ა.შ..

დიდ არგუმენტაციას არ საჭიროებს და უეჭველიცაა, რომ ჩვენი ხალხის უდიდესი უმრავლესობის მიზანი სწორედ ეს არის და არა ევროკავშირის სტრუქტურებში რამდენიმე ჩვენი წარმომადგენლის (მაგალითად, ევროპარლამენტში) დასაქმება.

ევროპეიზაცია შეიძლება დავიწყოთ ევროკავშირში გაერთიანებამდეც, თუ ასეთია ჩვენი მიზანი (და მართლაც, ასეთია). ეფემერული და ძალიან ზოგადი რომ არ იყოს ჩვენი მიზანი, შეიძლება შევისწავლოთ არსებული მდგომარეობა, გამოცდილება და შესაბამისი პოლიტიკა შედარებით მცირე მოსახლეობის მქონე ევროპულ ქვეყნებში და დავიწყოთ ჩვენი მდგომარეობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შესაბამისი პოლიტიკის გატარება, წესრიგის დამკვიდრება. ასეთი ქვეყნებია: ფინეთი, შვედეთი, დანია, ნორვეგია, ბელგია, ჰოლანდია, ავსტრია, პორტუგალია, შვეიცარია... ცხადია, ზუსტ მოდელებს ვერ გადმოვიღებთ, მაგრამ ამ გამოცდილების გათვალისწინებით ჩვენ გზას ვიპოვით — ვიპოვით ევროპეიზაციისა და განვითარების გზას. საქართველო გახდება განვითარებული ქვეყანა. ქვეყანას გაუჩნდება პერსპექტივა, ხოლო ხალხს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, ენთუზიაზმი და შინაარსიანი პატრიოტიზმი. გავიხედავთ წინ ნაცვლად იმისა, რომ ვიყუროთ მუდმივად უკან და შევეჯიბროთ წარსულს ნაკლებად უარესობაში.

ერთი, რაც აუცილებელია ამგვარი განვითარებისთვის და რაც ყველა ამ მიზანთან მისული ქვეყნის გამოცდილებისთვისაა საერთო, არის ის, რომ ამგვარი პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობდა საზოგადოების უდიდესი ნაწილი (ხშირად სხვადასხვა ჯგუფებს შორის მწვავე პოლემიკის პირობებშიც), ხოლო წარმმართველ როლს ასრულებდა სახელმწიფო, აღჭურვილი შესაბამისი ლეგიტიმაციით, შესაძლებლობებითა და პასუხისმგებლობებით.

ამგვარი წარმმართველი როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ძლიერ, პასუხისმგებლიან და მაღალი დემოკრატიული ლეგიტიმაციის მქონე მთავრობას.

ამგვარი ფუნქცია რომ შეასრულოს, სულ ცოტა, აუცილებელია ხელისუფლებამ გადაიაზროს თავისი როლი და ერთ-ერთი პოლემისტი პარტიიდან გადაიქცეს სახელმწიფო მმართველობის მთავარ ინსტიტუტად.

მოწოდებები დეპოლარიზაციის შესახებ ფუჭია. საჭიროა კონკრეტული ქმედებები. ასეთი ნაბიჯი შეიძლება იყოს მთავრობის ცალმხრივი ნაბიჯი, უარი წარსულთან მუდმივ შეჯიბრზე, მუდმივ კინკლაობაზე პერსონალისტურ საკითხებზე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან, ოპონენტთა უარესობის წარმოჩენით თვითლეგიტიმაცია, თვითდამკვიდრება და ა.შ., პოლემიკის (ზოგადად პოლიტიკური დისკურსის) წამყვან თემე-

ბად შინაარსობრივი, ადამიანებისთვის აქტუალური საკითხებისა და იდეების გამოტანა. აუცილებლობის შემთხვევაში ფაქტობრივი, დასაბუთებული არგუმენტირებული პასუხები და არა პროპაგანდისტული რიტორიკა.

უსაფრთხოების პოლიტიკა

მიმდინარე ომმა აშკარად აჩვენა, რომ უსაფრთხოებისა და მშვიდობის ის წესები, რომლებიც ამ ომამდე გარკვეულ გარანტიებად განიხილებოდა, აბსოლუტურად არასაკმარისი და არაეფექტიანი აღმოჩნდნენ და სერიოზულ გადააზრებას მოითხოვს.

ერთი სერიოზული საყურადღებო იდეა, რომელიც ამ დროისთვის აქტუალური ხდება, არის მაკრონის მიერ წამოწეული საკითხი (რომელსაც, ფაქტობრივად მხარდაჭერა გამოუცხადეს გერმანიამ და იტალიამ) „გაფართოებული პოლიტიკური ერთობის შესახებ“, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ევროკავშირის წევრებითა და გულისხმობს სოლიდარულ პოლიტიკას თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში (აგრეთვე ენერგეტიკაში). ეს მიმართულება, რომელიც არ გამორიცხავს ევროკავშირის წევრობას, უახლოეს წლებში ძალიან საინტერესო უნდა იყოს ჩვენი ქვეყნისა და ახლო რეგიონისთვის (რაც მოიაზრება კიდეც) და ამ მიმართულებით საჭიროა ინტენსიური თანამშრომლობა. საერთოდ, ძველ ევროპასთან და, კერძოდ, ამ ქვეყნებთან საჭიროა ჩვენი თანამშრომლობის მეტად გააქტიურება, ვიდრე პოსტსაბჭოთა და პოსტკომუნისტურ ქვეყნებთან.

ევროკავშირი და ევროპული მისწრაფება

1999 წელს, როცა საქართველო ევროსაბჭოს წევრი გახდა, განსაკუთრებით კი 2004 წლის შემდეგ, როდესაც დაიწყო ყოფილი კომუნისტური ბლოკის ქვეყნებისა და ბალტიისპირეთის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გაწევრიანება ევროკავშირში, საქართველოში არსებული პროევროპული განწყობები და მისწრაფებები ტრანსფორმირდა. თუ ადრიდანვე ისტორიულად საქართველოში დომინირებდა მისწრაფება ევროპული სახელმწიფოს (პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი წესრიგის) ჩამოყალიბებისკენ, თანდათან წამყვან ადგილს იკავებს არა ამ მიმართულებით სვლისკენ თავად ქვეყნის, მთავრობისა და ხალხის საკუთარი, მეტ-ნაკლებად ავტონომიური მოქმედება

და ძალისხმევა, არამედ პასიური მომლოდინეობა ევროკავშირში გაწევრიანებისა. შესაბამისად, მიზნის მიღწევა — ევროპული სახელმწიფოს ჩამოყალიბება — ჩვენზე კი აღარ არის დამოკიდებული, არამედ ევროკავშირზე, რომელმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ჩვენი „ევროპელობის“ შესახებ. აქედან გამომდინარეობს, რომ ჩვენი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ ჩვენ „მოვაწონოთ“ თავი ევროკავშირს, რომელიც მიგვიღებს რა კავშირში, აღიარებს ჩვენს „ევროპელობას“ და ჩვენი მიზანიც მიღწეული იქნება.

სინამდვილეში, ამგვარმა ტრანსფორმაციამ პარადოქსულად არათუ დაგვაახლოვა ევროპასთან, პირიქით, ერთგვარად შეაფერხა ევროპული პოლიტიკური და სოციოეკონომიკური წესრიგისკენ მიმართული ცვლილებების განხორციელება.

ამგვარი ვითარების ჩამოყალიბებას მნიშვნელოვანი მიზეზები ჰქონდა, რომელთაგან მთავარი იყო, ალბათ, სამი:

- ევროკავშირში შექმნილი რეალური ვითარების არაადეკვატური ცოდნა;
- ევროკავშირის პოლიტიკა და მოთხოვნები გაწევრიანების მიმართულებით;
- ადგილობრივი ელიტების ინტერესები.

მოხდა მიზეზშედეგობრივი ურთიერთმიმართების აღრევა: სინამდვილეში, ევროკავშირმა მასში შემავალი ქვეყნები კი არ აქცია (გახადა) ევროპულად, არამედ ევროპული წესრიგის ქვეყნები მანამდე არსებობდნენ და შემდეგ გაერთიანდნენ ევროკავშირში. ეს პროცესი დროში იყო განფენილი და დაკავშირებული იყო არა ევროპული სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან, რაც საქართველოში მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიერ იყო აღიარებული როგორც უმთავრესი მიზანი, არამედ უკვე ევროპული ტიპის სახელმწიფოების მისწრაფებებთან — განეხორციელებინათ პოლიტიკა, რომელიც ეფექტურად უზრუნველყოფდა მათთვის უმთავრესი ორი მიზნის მიღწევას: მშვიდობას (უსაფრთხოებას) და ეკონომიკურ აღორძინებას.

მართალია, იდეები მშვიდობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის სიკეთეების შესახებ ბევრად უფრო ადრე, უკვე განმანათლებლობის დროიდან იღებს სათავეს (იმანუელ კანტი) და ძლიერდება I მსოფლიო ომის შემდეგ, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მთავარი დეტონატორი ევროკავშირის შექმნის პროცესში II მსოფლიო ომი იყო.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთისა და გერმანიის, როგორც უდიდესი ევროპული ქვეყნებისა და II მსოფლიო ომში შეურიგებელი მტრების მისწრაფებას მშვიდობისკენ.

ომის ტრავმა და საშინელებების მეხსიერება განამტკიცებდა მშვიდობის იდეის თითქმის საყოველთაო ლეგიტიმაციას. საზღვრების უპირობო აღიარებას მყარ საფუძველს

უქმნიდა დასავლელ მოკავშირეებსა და საბჭოთა კავშირს შორის მიღწეული შეთანხმებები, რომელნიც იმავდროულად სამხედრო და უსაფრთხოების რეალური რესურსებითაც იყო უზრუნველყოფილი.



გრაფიკი 1. *ევროკავშირში გაწევრიანების ისტორია.*[2]

დეკოლონიალიზაციის პროცესი, რომელმაც ფართო გავრცელება დაიწყო ომის დასრულებისთანავე, მართალია, ზოგ შემთხვევაში კონფლიქტებში გადაიზარდა, (ლოკალური და არა გლობალური ხასიათისა), თუმცა გამოაცალა საფუძველი იმპერიულ მისწრაფებებს ტერიტორიული გაფართოებისკენ. ტრადიციული ტიპის იმპერიული ცნობიერება საფრანგეთში, ბრიტანეთსა თუ გერმანიაში წარსულს ბარდება და განვითარების პერსპექტივა უშუალოდ ნაციონალური შიდა სახელმწიფოს განვითარებაზე კონცენტრირდება.

ომის გამოცდილებამ სახელმწიფოების შიგნით ეროვნული ერთიანობის გაძლიერებას შეუწყო ხელი და ომამდელი აგრესიული და დესტრუქციული ნაციონალიზმი ტრანსფორმირდება ჯანსაღ პატრიოტიზმად. ეს ხელს უწყობს, ერთი მხრივ, სოლიდარობის განცდის გაძლიერებას მოსახლეობაში, რომელიც სულ უფრო მეტად ეყრდნობა სოციალური დიალოგის პრინციპებს სხვადასხვა ფენასა და ჯგუფს შორის (თუმცა ხშირ შემთხვევებში ურთიერთობები საკმაოდ მწვავე ფორმასაც იღებდა), განსხვავებით ომამდელი ტრადიციებისგან, როდესაც ნაციონალური ერთობის განცდა (და შესაბამისი სო-

[2] დიდი ბრიტანეთი (2020 წელს) გახდა ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც დატოვა კავშირი. 1995 წლამდე გაწევრიანება არ უკავშირდება სსრკ-ის დაშლას მაშინ, როდესაც 2004-2007 წლებში გაწევრიანება პირდაპირ დაკავშირებულია საბჭოთა ბლოკის რღვევასთან. ბალტიის ქვეყნები და პოლონეთი წარმოადგენენ რადიკალურად პროამერიკულ და ანტირუსულ განწყობებს ევროკავშირში.

ლიდარობა) ეთნიკური, კულტურული, ხოლო ზოგ შემთხვევაში მისტიკურ-სიმბოლური ხედვების საფუძველზე რეალიზდებოდა.

საერთო მიზნების არსებობის პირობებში ხშირად საკმაოდ მწვავე პოლიტიკური ბრძოლები სოციალური თანხმობის ალტერნატივას ასუსტებდა. კონსერვატიული, ლიბერალური და სოციალ-დემოკრატიული იდეები გადაკვეთის ადგილებს პოულობდა, ხოლო სახელმწიფოს წარმმართველი როლი ქვეყნის განვითარებაში უპირობოდ ხდებოდა აღიარებული. სახელმწიფო, როგორც ორგანიზატორი და მთავარი აქტორი საომარი მოქმედების პერიოდში, გადაიქცა ქვეყნის განვითარების მთავარ ლოკომოტივად.

ეკონომიკის რეგულირება, დაგეგმვა და მოქალაქეთათვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება ომის შემდგომი მშვიდობის პირობებში ევროპული სახელმწიფოების მთავარ ამოცანად და ხელისუფლების პასუხისმგებლობად იქცა. იქმნება ე.წ. "საყოველთაო კეთილდღეობის" ევროპული მოდელი. ასე რომ, ევროკავშირი ხდება სახელმწიფოთა გაერთიანება, რომელშიც გაერთიანდნენ სახელმწიფოები. მათში დამკვიდრებულია არსებითად ერთი ტიპის პოლიტიკური და სოციოეკონომიკური წესრიგი: მმართველობის დემოკრატიული ფორმა, გამყარებული და განმტკიცებული კეთილდღეობის ძლიერი და ეფექტური ინსტიტუტებით. ახალი წევრების მიღებისას კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს კანდიდატმა ქვეყანამ, გულისხმობს ისეთი ინსტიტუტებისა და მექანიზმების ამოქმედებისთვის მზადყოფნას, რომელნიც უზრუნველყოფენ თანამშრომლობის შესაძლებლობებს წევრ ქვეყნებს შორის, საერთო შეთანხმებები სექტორებს (ეკონომიკურ) შორის, სამართლებრივი თავსებადობები და ა.შ.. ეს პირობები არ გულისხმობდა ქვეყნის შიდა წესრიგის როგორც პოლიტიკური, ასევე სოციოეკონომიკურ ცვლილებას მით უმეტეს, რომ ეს წესრიგები მსგავსი იყო.

რეალურად იცვლება ვითარება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. სწორედ ამ პერიოდში ხდება ევროკავშირის მიერ კრიტერიუმებისთვის შედარებით უფრო მკაფიო და ფორმალური სახის მიცემა. ამ პერიოდში ორი მთავარი ფაქტორი განასხვავებს ევროკავშირის მიდგომებს XX საუკუნის 90-იანი წლების წინ არსებული ვითარებისგან. ახალა ევროკავშირში უნდა მიიღონ ქვეყნები, რომლებსაც ძველი წევრებისგან განსხვავებით რადიკალურად სხვა პოლიტიკური და სოციოეკონომიკური წესრიგის (საბჭოთა წესრიგის) პირობებში უწევდათ ცხოვრება ათწლეულების განმავლობაში. ილუზიები, რომ საბჭოთა სისტემის დანგრევა მყისიერად და უმტკივნეულოდ გამოიწვევდა ევროპული სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელი წესების დამკვიდრებას, შემდგომმა ათწლეულებმა მალევე გააქრო.

80-იანი წლებიდან იცვლება წამყვანი ტრენდები სოციოეკონომიკურ პოლიტიკაში და ევროპისთვის ე.წ. „დიდებული ოცდაათის" (II მსოფლიო ომის შემდგომი წლები 70-იანე-

ბის ბოლომდე) პოლიტიკების ნაცვლად, რადიკალური ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა იწყებს დომინირებას (განსაკუთრებით აშშ-ის გავლენით) მსოფლიოში.

მრავალი ექსპერტის აზრით, ევროკავშირის მიერ 80-იანი წლების II ნახევრის შემდეგ მიღებული აქტების საფუძველზე („ერთიანი ევროპის აქტი“ 1987 წელს და „მაასტრიხტის შეთანხმება“ 1993 წელს), ეკონომიკური პოლიტიკა ნეოკოლონიალიზმიდან ნეოლიბერალიზმისკენ იხრება.[3]

დღეს მოქმედი მიღების კრიტერიუმები ფაქტობრივად დადგინდა 1993 წლის ივნისში (კოპენჰაგენის კრიტერიუმები) და დამტკიცდა 1995 წლის დეკემბერში, მადრიდში. 1995 წლის შემდეგ ევროკავშირში ერთიანდებიან თანდათანობით სსრკ-ის დაშლასთან პირდაპირ დაკავშირებული ქვეყნები (პრაქტიკულად ახალი სახელმწიფოები — 11 ქვეყანა), გამონაკლისია მხოლოდ კვიპროსი და მალტა. კოპენჰაგენის კრიტერიუმები არის უფრო 90-იანი წლების ლიბერალური ტრენდის შესაბამისი დემოკრატიული პრინციპები, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები (პოლიტიკური გამოხატვის, უმცირესობების უფლებები და სხვა...), საბაზრო ეკონომიკა.

ეს არის ლიბერალური (კონსტიტუციონალისტური) პროექტი პროექცირებული საბჭოთა მემკვიდრეობაზე, საბჭოთა წესრიგის ცვლილებაზე (ევროპის ქვეყნების ეკონომიკური წესრიგის ისტორიის გათვალისწინების გარეშე).

გარდა საზოგადოდ ნეოლიბერალური ტენდენციების დომინირებისა დასავლეთში, ყოფილი სოციალისტური ქვეყნების მიმართ ამგვარი პოლიტიკების მხარდაჭერა, ევროპიზაციისა და ვესტერნიზაციისთვის აუცილებელი ლიბერალური ორიენტირების განსაზღვრა და შესაბამისი მოთხოვნების წაყენება იმითაც იყო განპირობებული, რომ საბჭოთა სისტემის პირობებში თავისუფლება და კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული კონკურენტული საბაზრო ეკონომიკა არ არსებობდა და მათი დამკვიდრება მთავარი ამოცანა იყო. რაც შეეხება თანასწორობის იდეალებსა და პრინციპებს, ერთი მხრივ, და ინდუსტრიულ განვითარებას, მეორე მხრივ, მიიჩნეოდა, რომ საბჭოთა სისტემა ამ თვალსაზრისით საჭირო მოთხოვნებს აკმაყოფილებდა (განსხვავებით II მსოფლიო ომის შემდგომ დეკოლონიზებული ქვეყნებისგან) და სპეციალური ცვლილებების განხორციელება ამ მიმართულებით აუცილებელი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ტრანსფორმირების პროცესი სხვაგვარად წარიმართა: მოხდა დეინდუსტრიალიზაცია და ეკონომიკის დემოდერნიზაცია, ერთი მხრივ, და უთანასწორობის რადიკალური ზრდა, საშუალო ფენის მინიმალურ ოდენობამდე შემცირება და ადამიანთა უმრავლესობის ცხოვრების არასასურველი დონის დამკვიდრება, მეორე მხრივ.

[3] კლაუს ბუში, ევროკავშირის ეკონომიკური და სოციალური მოდელი. ვუახლოვდებით ევროპას? ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი, 2010. გვ. 11.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მოვლენების ამგვარი განვითარებისა იმაში მდგომარეობდა, რომ უგულებელყოფილ იქნა ორი მთავარი ბურჯი ევროპული განვითარების გზისა:

- განვითარებაზე პასუხისმგებელი და განვითარების წარმმართველი სახელმწიფო;
- კეთილდღეობის ინსტიტუტები.

წინამდებარე კრებული ამ იგნორირებული პრინციპებისა და, შესაბამისად, ინსტიტუტების განხილვას ეძღვნება. ვიმედოვნებთ, რომ წარმოდგენილი ანალიზი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადეკვატური ხედვის ჩამოყალიბებას ჩვენ საზოგადოებაში განვითარების ევროპული მოდელის შესახებ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ: სოციალური და პოლიტიკური რეკონსტრუქციები ევროპაში

ბაქარ ბერეკაშვილი

მე-20 საუკუნე ევროპისთვის იყო როგორც კრიზისისა თუ კატასტროფის, ისე კეთილდღეობისა და განვითარების ეპოქა. ორმა მსოფლიო ომმა ევროპაში მნიშვნელოვნად შეცვალა მანამდე არსებული ევროპის ისტორიულ-პოლიტიკური, კულტურული და სოციო-ეკონომიკური განვითარების ფაზა და საფუძველი ჩაუყარა ახალი ეპოქისა და წესრიგის ჩამოყალიბებას. მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის კრიზისებმა და კატასტროფებმა, რაც გამოიხატება როგორც ორ მსოფლიო ომში, ასევე დიდ დეპრესიასა და კაპიტალიზმის მორალურ მარცხში, ცხადი გახადა მანამდე არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების ფუნდამენტურად შეცვლის საჭიროება. ამ კონტექსტში, განსაკუთრებით გარდამტეხი იყო დიდი დეპრესიის ხანა და უშუალოდ მეორე მსოფლიო ომი. სწორედ ამ ორი ტრაგიკული ისტორიული გამოცდილების შედეგად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში ძალას იკრებს მანამდე დავიწყებული თუ განდევნილი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული იდეალები. კლასიკური კაპიტალიზმი და ლიბერალიზმი, ისევე, როგორც არადემოკრატიული მმართველობის ფორმები აღარ წარმოადგენდა ევროპული ცხოვრებისა თუ წესრიგის საკრალურ და უალტერნატივო მოდელს. პირიქით, ყველა მათგანი მარგინალურ წიაღში შეიხიზნა და ასპარეზზე გამოვიდა ისეთი იდეალები, როგორებიცაა საყოველთაო კეთილდღეობა, თანასწორობა, სოციალური სამართლიანობა, სოციალური ინტერესები, დემოკრატიული განვითარება და ა.შ..

> პოლიტიკურად ეს იდეალები დაბინავდა სოციალისტურ და სოციალ-დემოკრატიული მართვის მოდელებში. ეს სხვანაირად ვერც იქნებოდა, რადგან ამ იდეალების უზრუნველყოფა სხვა მოდელის ქვეშ, ფაქტობრივად, შეუძლებელია. თავის მხრივ, ამ ყველაფერმა საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის ევროპულ დემოკრატიას, სადაც სახელმწიფომ აიღო პასუხისმგებლობა მოქალაქეთა მშვიდობასა და კეთილდღეობაზე, სადაც პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციას წარმოადგენდა სოციალური ინტერესების დაცვა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, სწორედ ასეთი წესებისა და წესრიგის ჩამოყალიბებით ხდებოდა დემოკრატიის სტაბილიზაცია და სახელმწიფოს, როგორც მოქალაქეთა კეთილდღეობის გარანტის სტაბილური განვითარება.

თუმცა, ევროპული განვითარებისა და კეთილდღეობის ეს დიადი ეპოქა, რომელსაც „დიდებულ ოცდაათს“ უწოდებენ, მე-20 საუკუნის 80-იან წლებამდე გაგრძელდა ანუ მანამ, სანამ მარგინალური პოზიციებიდან ნეოლიბერალური იდეოლოგია ისევ ძალას მოიკრებდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, იმ სოციალურმა და პოლიტიკურმა წესრიგმა, რომელიც ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა, საჯარო და პოლიტიკური ინსტიტუტები იმდენად განამტკიცა, რომ ნეოლიბერალურ ტალღას დღემდე არ ძალუძს მისი ბოლომდე დანგრევა და ანულირება. ბრძოლა კეთილდღეობისა და თანასწორობისათვის ევროპაში დღესაც გრძელდება. დღეს, ევროპელი ხალხები დგანან მნიშვნელოვანი ისტორიული მომენტის წინაშე — მათ უნდა დაიცვან ის მონაპოვარი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კეთილდღეობის წესრიგის ჩამოყალიბების შედეგად შეიქმნა.

წინამდებარე ნაშრომი ცდილობს განიხილოს, გაანალიზოს და აღწეროს ევროპაში სოციალური და პოლიტიკური რეკონსტრუქციის პროცესი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოცენდა და, რომელმაც ისტორიული ცვლილებები მოუტანა ევროპულ საზოგადოებასა და პოლიტიკას.

ევროპა მეორე მსოფლიო ომის წინარე პერიოდში

1918 წელს პირველი მსოფლიო ომის დასრულებას თან მოჰყვა მნიშვნელოვანი სოციოპოლიტიკური ცვლილებები ევროპაში, რაც განსაკუთრებით გამოიხატა ტრადიციული ევროპული იმპერიების რღვევით, ნაციონალური საკითხის ახლებური აღზევებით, სახელმწიფოთა წეს-წყობილების შეცვლითა და ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებით. თავის მხრივ, ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება დაეფუძნა ე.წ. ვილსონიანური წესრიგის პრინციპებს. ცხადია, პირველი მსოფლიო ომის დაწყებას წინ უძღოდა ევროპაში, ერთი მხრივ, იმპერიათა სიძლიერე, მეორე მხრივ კი, მუდმივი სოციოეკონომიკური და სოციო-პოლიტიკური შფოთი, როგორც იმპერიებში, ასევე ევროპის პერიფერიაში.

საქმე იმაშია, რომ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, ევროპაში გაბატონებული იყო ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ოსმალეთის, რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის იმპერიები. ცხადია იმპერიალიზმის ეპოქას თან ახლდა მისი თანმდევი პოლიტიკური თუ კულტურული პროცესები, რაც განსაკუთრებით გამოიხატებოდა როგორც იმპერიებს შორის დაპირისპირებაში, ასევე იმპერიების შიგნით ამბოხებებსა თუ

წინააღმდეგობებში.[1] პირველი მსოფლიო ომის დასრულებამ შეცვალა ევროპის გეოპოლიტიკური სურათი.

1918 წლის იანვარში, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ვუდრო ვილსონმა გამოაცხადა 14-პუნქტიანი სამოქმედო გეგმა, რაზეც უნდა დაფუძნებულიყო ახალი წესრიგი მსოფლიოში, მათ შორის ევროპაში. გეგმა ითვალისწინებდა ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის წინ წამოწევას, ევროპული იმპერიების გაუქმებას, ევროპის ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას, ევროპაში საზღვრების ახლებურ მოწესრიგებას, თავისუფალი ვაჭრობის განვითარებასა და ერთა ლიგის შექმნას. თავის მხრივ, ასეთი ტიპის წესრიგის ჩამოყალიბებით გაძლიერდა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური დომინაცია ევროპაში, ხოლო სოციალური წესრიგი კვლავაც დაეყრდნო კლასიკური ლიბერალური კაპიტალიზმის პრინციპებს.

ისტორიულად მნიშვნელოვანი პოლიტიკური გარდაქმნების თვალსაწიერიდან თუ ვიმსჯელებთ, უნდა ითქვას, რომ ამ ეპოქაში განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლა, ოსმალეთის იმპერიის დასასრული, თურქული სახელმწიფოს ჩამოყალიბება და, რასაკვირველია, 1917 წლის რუსეთის რევოლუცია, რომელმაც როგორც სოციალურმა რევოლუციამ შემდგომში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ევროპის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე.

თუმცა, ვერც ვილსონიანური წესრიგი და ვერც 1919 წლის ვერსალის შეთანხმება გამოდგა ეფექტურ მექანიზმად ევროპაში მშვიდობისა და კეთილდღეობის მისაღწევად. პირველ მსოფლიო ომსა და მეორე მსოფლიო ომს შორის პერიოდში, რომელიც ისტორიაში ცნობილია როგორც *ომთაშორისი პერიოდი*, ევროპა მოიცვა სოციალურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა, რამაც მალევე შექმნა პირობები ნაციზმისა და ფაშიზმის აღზევებისთვის. სამეცნიერო წრეებში არსებობს მოსაზრებაც იმის შესახებ, რომ ვილსონის სამშვიდობო ინიციატივა და ვერსალის შეთანხმება სხვა ფაქტორებთან ერთად გახდა ერთ-ერთი ფაქტორი ევროპაში ნაციზმის აღზევებისა და მეორე მსოფლიო ომის წამოწყებისთვის. გარდა იმისა, რომ ამ ინიციატივებში ბევრი რამ უსამართლო იყო, მის მიღებასა და ამოქმედებას თან ახლდა დრამატული თანმდევი პროცესები, რაც გამოიხატებოდა, მაგალითად, გერმანიის ბლოკადით, რასაც შედეგად მოჰყვა შიმშილი და სიკვდილიანობა. ამ ყველაფერს კი დაემატა 1929 წლის დიდი დეპრესიაც, რამაც უამრავი უბრალო ევროპელის იმედები და ბედნიერება შეიწირა.[2]

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, ევროპის პოლიტიკური სისტემა ხასიათდებოდა

[1] მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში გაიზარდა რევოლუციური და ნაციონალისტური სენტიმენტები როგორც იმპერიებში, ასევე მათი დომინაციის ქვეშ მყოფ ერებში, რასაც საფუძვლად ედო როგორც სოციო-ეკონომიკური, ისევე კულტურული თუ პოლიტიკური ფაქტორები.

[2] იხ. William Pelz, *A People's History of Modern Europe* (London: Pluto Press, 2016).

მემარჯვენე რადიკალიზმით, მოზღვავებული დიქტატურითა და ტოტალიტარული მმართველობით. ვოლსონიანური პოლიტიკური ლიბერალიზმი ევროპაში მალევე გარდაიქმნა ანტიდემოკრატიულ წესრიგად, რასაც მნიშვნელოვნად კვებავდა, ერთი მხრივ, ლიბერალური კაპიტალიზმის კრიზისი, მეორე მხრივ კი, ანტიკომუნისტური პროპაგანდა. 1920-იანი წლების დასაწყისში იტალიაში ლიბერალურმა კლასმა ღიად დაუჭირა მხარი ანტიმარქსისტულ კონსოლიდაციას და ხელი შეუწყო ფაშისტური წესრიგის ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, გამოწვეული იყო იმით, რომ იტალიელ ლიბერალებს განსაკუთრებით აღიზიანებდათ სოციალური სახელმწიფოს იდეა.[3] დიდი დეპრესიის პერიოდში ევროპაში კიდევ უფრო გაძლიერდა პოლიტიკური პათოლოგიები, განსაკუთრებით კი, გერმანიაში, სადაც: „დიდი დეპრესიის დაწყებისთანავე, ბევრ გერმანელს გაუღვივდა გრძნობები ნაციონალიზმისა და რასიზმისადმი.“[4]

ორ ომს შორის პერიოდს და მეორე მსოფლიო ომის პერიოდს *კატასტროფის ეპოქად* მოიხსენიებს ბრიტანელი ისტორიკოსი ერიკ ჰობსბაუმი და პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში მემარჯვენე რადიკალიზმის აღზევებას განიხილავს, როგორც რეაქციას სოციალური რევოლუციების პერსპექტივისადმი.[5] 1933 წელს ვაიმარის რესპუბლიკის დაცემამ ხელი შეუწყო მემარჯვენე რადიკალიზმისა და დიქტატურების კიდევ უფრო გაძლიერებას ევროპაში, გაძლიერდა ანტიმემარცხენე ექსტრემიზმი და დაიწყო მზადება მეორე მსოფლიო ომისთვის.

1939 წელს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, 1941 წელს კი, მეორე მსოფლიო ომში ჩაერთო საბჭოთა კავშირი. ომმა, რომელიც 1945 წლამდე გაგრძელდა, მოიტანა განუზომელი ტკივილი და მსხვერპლი თანამედროვე კაცობრიობის ისტორიაში. შეიძლება ითქვას, რომ დიდმა დეპრესიამ და ლიბერალური კაპიტალიზმის კრიზისმა გამოკვება ევროპაში ნაციზმისა და ფაშიზმის აღზევება, რამაც შექმნა ჰოლოკოსტის და მეორე მსოფლიო ომის ტრაგედია. მეორე მსოფლიო ომისა და მისი წინარე პერიოდისგან მიღებულმა ტრაგიკულმა გამოცდილებამ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ევროპა სრულიად ახალი გამოწვევებისა და რეალობის წინაშე დააყენა. დაიწყო ახალი წესრიგის და ახალი საზოგადოების ჩამოყალიბების ეპოქა.

[3] იხ. Domenico Losurdo, *Liberalism: A Counter-History* (London & New York: Verso, 2011).

[4] იხ. Pelz, *A People's History of Modern Europe*, p. 139.

[5] იხ. Eric Hobsbawm, *The Age of Extremes. The Short Twentieth Century 1914-1991* (London: An Abacus Book, 1995).

მეორე მსოფლიო ომის დასრულება
და მზადება ახალი ეპოქისთვის

მეორე მსოფლიო ომმა მოიტანა უდიდესი ადამიანური ტრაგედიები და, შესაბამისად, მისმა დასრულებამ საფუძველი ჩაუყარა სრულიად ახალ ფუნდამენტურ და ისტორიულ გარდაქმნებს მთელ მსოფლიოში. თუკი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში გაძლიერდა მემარჯვენე რადიკალიზმი და მიმდინარეობდა მემარცხენე ძალების დევნა და დისკრიმინაცია, ამისგან განსხვავებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში აღზევდა მემარცხენე სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური სტრატეგიები და მემარცხენე ძალები მოექცნენ ევროპის პოლიტიკური ცხოვრების ავანგარდში. შვედი სოციოლოგი გორან თერბორნი აღნიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ევროპის სოციალური დიალექტიკის მომავალი, რაც უშუალოდ უკავშირდებოდა სახელმწიფოს იდეის გარდაქმნას და მისი სოციალური და ეკონომიკური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას. ევროპის ამ სოციალურ დიალექტიკას კი საფუძვლად დაედო კაპიტალიზმისა და ფაშიზმის მარცხი და მათი მორალური გასამართლება, როგორც თერბორნი შენიშნავს: „ევროპაში დეპრესიამ საბრალდებო სკამზე დასვა ლიბერალიზმი. ფაშიზმის დამარცხებით კი საბრალდებო სკამზე დაჯდა კაპიტალიზმი და ისევ და ისევ კერძო მეწარმეობის ლიბერალური კონცეფციები“.[6] ამიტომ, რასაკვირველია, ამ ყველაფრის გათვალისწინებით ევროპა დადგა იმ გამოწვევის წინაშე, რომ მას უნდა მოეხდინა მანამდე არსებული სოციალური და პოლიტიკური წესრიგის, როგორც ინსტიტუციონალური, ასევე მენტალური და თვისებრივი გარდაქმნა.

ახალი წესრიგის შექმნის ეპოქაში, ცხადია, წინ წამოიწია ისეთი იდეალები თუ ცნებები, როგორებიცაა: თანასწორობა, სოციალური სამართლიანობა, სოლიდარობა, სოციალური ინტერესები, საზოგადოებრივი სიკეთეები და ა.შ.. ამას ემატება ისიც, რომ დასავლეთ ევროპაში გაძლიერდა სოციალისტური და კომუნისტური მოძრაობები, რომლებიც სულ უფრო და უფრო აძლიერებდნენ ანტიკაპიტალისტურ დისკურსებს. გაჩნდა სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობების ახალი სტილი, სადაც, მართალია, პოლიტიკურ ჯგუფებს შორის არსებობდა კონსენსუსი ფუნდამენტურ საკითხებზე, თუმცა ამას მუდმივად თან ახლდა გარკვეული იდეოლოგიური ბრძოლებიც. ამ ბრძოლაში, რასაკვირველია, მემარჯვენე რადიკალები და საბაზრო ფუნდამენტალისტები ვერ იყენებდნენ ძალადობისა და პოლიტიკური ექსტრემიზმის იმგვარ მეთოდებს მემარცხენეების წინააღმდეგ, როგორც ამას პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აკეთებდნენ.

---

[6] იხ. Göran Therborn, *European Modernity and Beyond. The Trajectory of European Societies, 1945-2000* (London, Thousand Oaks, New Delhi: SAGE Publications, 1995), p. 27.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა კლასიკური ლიბერალიზმისა და თავისუფალი საბაზრო კაპიტალიზმის, როგორც მორალური ლეგიტიმაციის, ასევე პრაქტიკული ვარგისიანობის საკითხი. ეს, ცხადია, გულისხმობდა ახალ სოციალურ წესრიგში ალტერნატიული მოდელებისა და სტრატეგიების ამუშავებას. ეს მოდელები თუ სტრატეგიები მიზნად ისახავდა საბაზრო ფუნდამენტალიზმის ძირეულ გადახედვას, კაპიტალიზმის მოთვინიერებას და სოციალურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, რა პირობებშიც უნდა შექმნილიყო მეტი შესაძლებლობები თანასწორობისა და საყოველთაო კეთილდღეობისათვის.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპა იმდენად მოიცვა დრამატულმა პროცესებმა, რომ ისტორიული ცვლილებების საჭიროება შეუქცევად მოვლენად იქცა. ისტორიკოსი ნილ ფოლკნერი 1914-1945 წლების პერიოდს აღწერს, როგორც გლობალური კრიზისის ეპოქას, რომლის ცენტრსაც წარმოადგენდა ევროპა და, რომელიც ორი განზომილებით ხასიათდებოდა. პირველი, ეს იყო გეოპოლიტიკური კრიზისი, რომელიც მოიცავდა დაპირისპირებულ ნაციონალისტურ-კაპიტალისტურ ბლოკებს შორის მტრობას, რაც გამოიხატებოდა იმპერიალისტური ომებითა და სამყაროს იძულებითი ხელახალი გადანაწილებით, ხოლო მეორე განზომილება იყო მუდმივი სოციალური კრიზისი, რა დროსაც ქვემოდან წამოსულმა მასობრივმა მოძრაობებმა (განსაკუთრებით მუშათა კლასმა) შეარყია იმპერიალისტური მართვის წესები და სოციალისტური რევოლუციის საკითხი ისტორიულ დღის წესრიგში მოაქცია.[7]

ხშირად კულტურა და ხელოვნება, მათ შორის კინო და მწერლობა უფრო გასაგებად გადმოგვცემს და აგვიხსნის ხოლმე ამა თუ იმ სოციალური სინამდვილისა თუ ყოფის რაობას. ამ გაგებით, მეორე მსოფლიო ომის ტრაგიკული რეალობა და ომის შემდგომი ევროპის ცხოვრება, მათ შორის ადამიანური ტრაგედიები და განცდები ემოციურად და თვალსაჩინოდ არის გადმოცემული თანამედროვე ევროპულ და საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში, მათ შორის ჰაინრიხ ბიოლის, ბერტოლდ ბრეხტის, ანნა ზეგერსის, მიხაილ შოლოხოვის, ვიქტორ ნეკრასოვისა და სხვათა ნაწარმოებებში. ასევე, ამ მხრივ აღსანიშნავია, ამერიკული მხატვრული ლიტერატურა, განსაკუთრებით კი ნორმან მეილერისა და კურტ ვონენგუტის ნაწარმოებები. ომისშემდგომი ევროპა ხასიათდებოდა ჯერ კიდევ მაღალი სოციალური უსამართლობით, სოციოეკონომიკური უთანასწორობითა და სტრუქტურული ძალადობის სხვა ფორმებით (როგორებიცაა, მაგალითად, უმუშევრობა, სოციალური ჩაგვრა, დისკრიმინაცია, შრომითი პოლიტიკის უსამართლობა და ა. შ.). იმდროინდელი ევროპის სოციალური ყოფა ასევე განსაკუთრებით კარგად

[7] იხ. Neil Faulkner, *A Marxist History of the World: From Neanderthals to Neoliberals* (London: Pluto Press, 2013).

არის გადმოცემული ევროპულ კინოში, კონკრეტულად კი იტალიურ ნეორეალიზმში და განსაკუთრებით კი ვიტორიო დე სიკას, ლუკინო ვისკონტის, რობერტო როსელინისა და სხვათა ფილმებში.

ევროპის სოციალური და პოლიტიკური რეკონსტრუქციის ახალი ეპოქა 1950-იანი წლებიდან იწყება, როდესაც კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეა ევროპის პოლიტიკური ცხოვრების დღის წესრიგში წამყვან ადგილს იკავებს. ახალ ეპოქაში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იქმნებოდა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, იქმნებოდა ახალი შესაძლებლობები ახალი ტიპის სახელმწიფოსა და სოციოპოლიტიკური წესრიგის ჩამოსაყალიბებლად. ეს იყო გარდამქმნელი ეპოქა არა მხოლოდ ევროპისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, რადგან ახალმა ეპოქამ ასევე ჩაგვრისა და კოლონიალიზმისგან დაიხსნა ის არადასავლური ქვეყნები, რომლებშიც დასავლური იმპერიები ბატონობდნენ და მათ დოვლათს ეუფლებოდნენ.

დეკოლონიზაცია და ევროპული იმპერიალიზმის დეზინტეგრაცია

როგორც უკვე ითქვა, მეორე მსოფლიო ომის დასრულებამ და მისმა შემდგომმა პერიოდმა შეცვალა სამყარო და მანამდე არსებული პოლიტიკური ურთიერთობების ფორმები. იმპერიები იმ სახით, რა სახითაც მანამდე აგრძელებდნენ არსებობას უკვე ვეღარ იარსებებდნენ. ამ კონტექსტში, დღის წესრიგში დადგა ანტიიმპერიალისტური პოლიტიკისა და დეკოლონიზაციის საკითხი. 1945 წლის შემდეგ იწყება ევროპული იმპერიალიზმის დეზინტეგრაცია დეკოლონიზაციის სახით. უნდა ითქვას, რომ პირველი მსოფლიო ომის შედეგებმა, დიდმა დეპრესიამ და ლიბერალური კაპიტალიზმის კრიზისმა ერთგვარი ნიადაგი მოამზადა მსოფლიო დეკოლონიზაციის პროცესისთვის, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კი, დეკოლონიზაციის პროცესი უკვე შეუქცევადი გახდა და დღის წესრიგში დადგა ახალი მსოფლიოს აღმოცენება, რამაც ხელი შეუწყო ყოფილი კოლონიების მიწაზე ახალი სახელმწიფოების დაარსებას და დასავლური, კერძოდ კი, ევროპული იმპერიალიზმის ტრადიციული დომინაციის დასრულებას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამყარო სხვანაირი გახდა. ომის შემდეგ დროთა განმავლობაში მსოფლიოში 50-ზე მეტი ახალი სუვერენული სახელმწიფო ჩამოყალიბდა, რაც მეტწილად დეკოლონიზაციის პროცესით იყო განპირობებული. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დეკოლონიზაციისა და იმპერიული დეზინტეგრაციის ეპოქამ ევროპაში შეცვალა სოციალური და პოლიტიკური აზროვნების ფორმა. ევროპა იძულებული გახდა,

მორგებოდა ახალ რეალობას. ევროპული სახელმწიფოები, რომლებიც მანამდე კოლონიალიზმითა და ვაჭრობით მდიდრდებოდნენ აღმოჩნდნენ ახალი გამოწვევების წინაშე — მათ უნდა შეექმნათ განვითარების იმგვარი მოდელი, რომელიც უფრო მეტად შინაგან განვითარებაზე იქნებოდა დაყრდნობილი და, რომელიც უზრუნველყოფდა საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობას. სწორედ ამ კონტექსტში ძალა მოიკრიბა და შეიძლება ითქვას, თავიდან აღმოცენდა კეთილდღეობის სახელმწიფოს ევროპული მოდელი, რომლის ამოცანასაც წარმოადგენდა, უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ეპოქაში, კოლონიური ჩაგვრის გარეშე განვითარება და გაძლიერება.

ახალი სახელმწიფო და ახალი საზოგადოება

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეის ფორმირება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს ხდებოდა (ბისმარკის რეფორმები გერმანიაში), სახელმწიფოს ამგვარი მოდელის აღმასვლა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყება და მისი ისტორიული აღზევების ეპოქად 1950-1970-იანი წლები მიიჩნევა. გერმანელი სოციოლოგი ნიკლას ლუმანი აღნიშნავდა, რომ კეთილდღეობის სახელმწიფოს აქვს, როგორც კეთილდღეობის ორგანიზების ფუნქცია, ისე შემოსავლებისა და რესურსების შოვნის ფუნქცია, რათა უზრუნველყოს საზოგადოების კეთილდღეობა. ლუმანი განმარტავს, რომ კეთილდღეობის სახელმწიფო ისეთი სახელმწიფოა, რომელიც საზოგადოებას ფართო სოციალური მხარდაჭერით უზრუნველყოფს და ამ მიზნის მისაღწევად მუდმივად ეძებს შემოსავლის წყაროს.[8]

ომისშემდგომი კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარებას ძირითადად, ორი სოციოპოლიტიკური ფაქტორი განაპირობებდა: კლასიკური კაპიტალიზმის მარცხი და საბჭოთა კავშირის არსებობა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცხადი გახდა ის, რომ დასავლეთ ევროპა ვერ გააგრძელებდა სოციალური და ეკონომიკური ორგანიზების იმ ფორმით არსებობას, რაც ომამდე არსებობდა. საჭირო იყო კაპიტალისტური სისტემის გარდაქმნა და მისთვის ადამიანური სახის მიცემა. თავის მხრივ, ადამიანური სახის მიცემა გულისხმობდა იმას, რომ სახელმწიფო აიღებდა პასუხისმგებლობას კეთილდღეობის შექმნაზე და კაპიტალი ჩადგებოდა სოციალური ინტერესების სადარაჯოზე. ამგვარი მიდგომა, იდეოლოგიურ ასპექტში შეიძლება აიხსნას როგორც რევიზიონისტული მარქსიზმი, სოციალური დემოკრატია, დემოკრატიული სოციალიზმი ან ევროპული სოციალიზმი. ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბების იდეა გულისხმობდა დასავლეთ ევროპაში

[8] იხ. Niklas Luhmann, *Political Theory in the Welfare State* (Berlin & New York: Walter de Gruyter, 1990).

მემარცხენე ძალების ძალაუფლების ცენტრში მოქცევას, რომლებიც ჩამოყალიბდნენ როგორც მთავარ პასუხისმგებელ პოლიტიკურ აქტორებად ახალი ევროპული წესრიგის შესაქმნელად. ავსტრიაში, გერმანიასა და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების სახელმწიფოები იქცნენ უმთავრეს აქტორებად არა მხოლოდ სოციოეკონომიკურ, არამედ კულტურის სფეროში. კეთილდღეობის სახელმწიფოს ფორმაცია ძირითად ამოცანად იქცა არა მხოლოდ მემარცხენე, არამედ კონსერვატიული პარტიებისთვისაც.[9]

> შეიძლება ითქვას, რომ ომისშემდგომი ევროპული კეთილდღეობის სახელმწიფო იყო არა კაპიტალიზმის მიერ თვითწარმოებული ჰუმანური გარდაქმნის შედეგი, არამედ შედეგი დაჩაგრული კლასების სოციალური და პოლიტიკური მობილიზაციისა ახალი სოციალური რეალობის პირობებში, სადაც გაჩნდა ალტერნატიული წესრიგის შექმნის შესაძლებლობა. დომენიკო ლოსურდო სწორად შენიშნავდა, რომ ევროპაში კეთილდღეობის სახელმწიფოს წარმატებული აღმშენებლობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იყო არა რეფორმირებული კაპიტალიზმის შედეგი, არამედ სუბალტერნული კლასების სოციალური და პოლიტიკური მობილიზაციის შედეგი, ხოლო ამ ტიპის მოძრაობების გაძლიერება განპირობებული იყო პირველი და მეორე მსოფლიო ომებით, დიდი დეპრესიითა და ფაშიზმის არსებობით, რაც კაპიტალიზმის შემადგენელს წარმოადგენდა.[10] ამიტომ, ცხადია, რომ მემარჯვენე ლიბერალური კაპიტალიზმის ისტორიულმა მარცხმა გამოიწვია, როგორც მემარცხენე ძალების აღზევება, ასევე კაპიტალისტური კლასის იძულებითი კომპრომისი მშრომელთა კლასთან. ამგვარი კომპრომისი მნიშვნელოვან საფუძველს ქმნიდა სხვადასხვა სოციალურ და პოლიტიკურ ჯგუფებს შორის ბრძოლისა და გადარჩენის საერთო სტრატეგიების გამოსაძებნად.

თუმცა, ეს კომპრომისი ვერ შედგებოდა მხოლოდ კაპიტალიზმისა და ფაშიზმის მარცხით, ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის, როგორც ალტერნატიული იდეოლოგიური ცივილიზაციის არსებობამ. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა კავშირი დასავლურ სამყაროს უწევდა ძლიერ იდეოლოგიურ, კულტურულ თუ ეკონომიკურ ოპონირებას და მეორე მსოფლიო ომის მემკვიდრეობიდან გამომდინარე, ძლიერ მორალურ პოზიციას ფლობდა. საბჭოთა კავშირის, როგორც სოციალისტური პროექტის

[9] მაგალითად, გერმანიაში, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის, ასევე ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში ცენტრალურ ადგილს იკავებდა სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური პასუხისმგებლობის საკითხი.

[10] იხ. Domenico Losurdo, *Class Struggle. A Philosophical and Political History* (New York: Palgrave Macmillan, 2016).

არსებობამ მნიშვნელოვნად განაპირობა კეთილდღეობის ინსტიტუტების განვითარება დასავლეთ ევროპაში, რადგან კაპიტალისტური ევროპა შეშინებული იყო საბჭოთა კომუნიზმის შესაძლო ექსპანსიითა და სოციალიზმის მზარდი სოციალური ლეგიტიმაციით. ამ გაგებით, დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური კლასი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო, რის შედეგადაც დამყარდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური კონტროლი კაპიტალზე. ამ ყველაფრის მიზანი იყო ისეთი საზოგადოების შექმნა, სადაც ადამიანის საჭიროებები საყოველთაოდ იქნებოდა უზრუნველყოფილი და ამით შეჩერდებოდა საბჭოთა იდეოლოგიური ექსპანსიის შესაძლებლობა (ე.ი. მეტი კეთილდღეობის შექმნით შექმნილიყო მეტი გარანტიები გეოპოლიტიკური უსაფრთხოებისა და სოციალური სტაბილურობისათვის).

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში დასავლეთ ევროპაში კეთილდღეობის სახელმწიფოს გამოუჩნდა ახალი იდეოლოგიური მტერი ნეოლიბერალური კაპიტალიზმის სახით. საქმე იმაშია, რომ მე-20 საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსთვის მთელ მსოფლიოში ეკონომიკური ზრდა ფერხდება და ეკონომიკასთან ერთად პოლიტიკური და სოციალური წესრიგი კრიზისს განიცდის (როგორც დასავლეთში, ასევე სსრკ-ში). 1980-იანი წლების ბოლოდან კი ახალი, უკვე ტრანსფორმირებული ფორმით ძლიერდება ნეოლიბერალური შეხედულებები და პოლიტიკები (განსაკუთრებით რეიგანისა და ტეტჩერის პოლიტიკა) და თანადროული გლობალიზაციური პროცესები უკვე ნეოლიბერალური ვერსიის შესაბამის ფორმებს იღებს. ნეოლიბერალური სახელმწიფოს იდეა, რომელიც მანამდე მარგინალურ იდეას წარმოადგენდა ევროპის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, ძალებს იკრებს სწორედ 1980-იან წლებში. ამავე პერიოდში, ეკონომიკური და პოლიტიკური სირთულეების ფონზე, *გლასნოსტისა* და *პერესტროიკის* გამოცხადებით იწყება საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი. საბჭოთა კავშირის დასუსტებით სუსტდება კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეაც, რადგან აღარ არსებობს ის პოლიტიკურ-იდეოლოგიური ცივილიზაცია, რომელიც მუდმივად ფხიზლად ყოფნას აიძულებდა დასავლეთ ევროპას.

ამ პერიოდიდან მოყოლებული, დასავლეთ ევროპელმა მეცნიერებმა და ინტელექტუალებმა გახსნეს დისკუსია და მსჯელობა კეთილდღეობის სახელმწიფოს კრიზისის შესახებ ევროპაში. ჩნდება დასკვნები, რომ კეთილდღეობის სახელმწიფოს კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა ნეოლიბერალურმა გლობალიზაციამ. ფრანგი სოციოლოგი პიერ ბურდიე, 1996 წლის შემოდგომაზე, ათენში წარმოთქმულ მოხსენებაში ხაზს უსვამდა იმას, რომ გლობალიზაცია ასრულებს მითის, ძლიერი დისკურსის როლს, ეს არის ერთგვარი *idee force,* ანუ იდეა, რომელსაც აქვს სოციალური ძალა რაიმეში დაგარწმუნოს. ბურდიეს მტკიცებით, გლობალიზაცია უმთავრესი იარაღია კეთილდღეობის სახე-

ლმწიფოს მონაპოვართა წინააღმდეგ, რადგან ევროპის მშრომელებს ეუბნებიან, რომ ისინი უნდა ჩაებან მსოფლიოს სხვა მშრომელებთან კონკურენციაში, რომლებსაც ნაკლები ფუფუნება აქვთ. აქედან გამომდინარე, მშრომელებს ეუბნებიან, რომ როლური მოდელი ის ქვეყნებია, სადაც არ არსებობს მინიმალური ხელფასი, სადაც დღეში 12 საათზე მეტს მუშაობენ და შემოსავალი არნახულად დაბალი აქვთ, ვიდრე ევროპელ მშრომელებს, სადაც არ არსებობენ პროფკავშირები, სადაც სახეზეა ბავშვთა შრომა და ა.შ.. ბურდიეს ეს წუხილი კიდევ უფრო აქტუალური გახდა და გაძლიერდა მომავალ წლებშიც. ნეოლიბერალურმა კაპიტალისტურმა გლობალიზაციამ, მართალია, ვერ მოშალა, თუმცა კი საფრთხე შეუქმნა კეთილდღეობის სახელმწიფოს. თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში ომისშემდგომი ევროპული კეთილდღეობის სახელმწიფო განხილულია, როგორც ევროპის მნიშვნელოვანი მონაპოვარი და ამ მონაპოვარზე ზრუნვა არაერთი ევროპული მკვლევრის თუ მეცნიერის ერთ-ერთ ძირითად აკადემიურ თუ სოციალურ ამოცანად რჩება.

დემოკრატია, პოლიტიკური წესრიგი და ლეგიტიმაცია

მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატია როგორც მმართველობის ფორმა, უძველესი წარმოშობისაა და მისი ისტორიულ-ფილოსოფიური ფესვები ანტიკური პოლიტიკური აზროვნებიდან მოდის, დემოკრატიის უნივერსალიზაცია და მისი გლობალური სოციო-პოლიტიკური მიმღებლობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყება.

საქმე იმაშია, რომ ისევე როგორც დასავლეთ ევროპა, ასევე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა, მეორე მსოფლიო ომამდე, მოიცვა როგორც დიქტატურამ, ტოტალიტარიზმმა და ავტორიტარიზმმა, ასევე პოლიტიკური ცხოვრების მკვეთრმა მემარჯვენე ნაციონალისტურმა სენტიმენტალიზაციამ, რაც, ცხადია, ვერ შექმნიდა ვერანაირ დემოკრატიულ პოლიტიკურ წესრიგს. მეორე მსოფლიო ომამდე არსებული მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, რომ იყო შურისძიების პერიოდი, შურისძიების როგორც სოციალისტებისა და მემარცხენეების, ასევე სხვადასხვა ერებისა თუ ეთნოსების მიმართ. შესაბამისად, ამ მოცემულობაში ყალიბდებოდა დიქტატორული და ეთნონაციონალისტური რეჟიმები (იტალია, გერმანია, ესპანეთი, პოლონეთი და ა.შ.). ამასთანავე, უნდა ითქვას ისიც, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ იქცნენ ნაცისტური გერმანიის კლიენტალისტურ სახელმწიფოებად. შესაბამისად, ოფიციალურად, დემოკრატიული წესრიგის უნივერსალიზაცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა.

პოლიტიკურ თეორიაში დემოკრატიას ბევრი ფორმა აქვს და არც ისტორიულად და არც დღეს სრული კონსენსუსი არ არსებობს იმის თაობაზე, რომ იგი უნაკლო მმართველობის ფორმაა. დემოკრატიაზე მსჯელობისას საუბრობენ მის ირაციონალურობაზეც კი ისევე, როგორც იმაზე, რომ დემოკრატია ვერ შექმნის იდეალურ საზოგადოებას. დემოკრატიის კრიტიკას წავაწყდებით როგორც ანტიკურ ბერძნულ პოლიტიკურ თეორიაში (მაგალითად, პლატონსა და არისტოტელესთან), ასევე თანამედროვე სოციალურ და პოლიტიკურ თეორიაში (მაგალითად, მარქსისტული სკოლა ან იტალიელი ნიჰილისტები).

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიის აღქმა არაერთგვაროვანია, ხოლო მისი მიმღებლობა კი, როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკური, არასწორხაზოვანი, ევროპის პოლიტიკური განახლება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დემოკრატიის ინსტიტუციონალიზაციას და აღიარებას დაეფუძნა. ზემოთ აღვნიშნე, რომ დემოკრატიას პოლიტიკურ თეორიაში უამრავი ფორმა აქვს, დემოკრატიის ის მოდელი კი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპაში განვითარდა, წარმოადგენდა სოციალური დემოკრატიის, ან გნებავთ, კეთილდღეობის დემოკრატიის მოდელს, რაც გულისხმობდა ისეთი დემოკრატიული წესრიგის ჩამოყალიბებას, რომელიც გააკონტროლებდა კაპიტალს სოციალური ინტერესების უზრუნველსაყოფად. ცხადია, ეს, თავის მხრივ, ურთულესი ამოცანა იყო და ამას თან ახლდა ძლიერი იდეოლოგიური ბრძოლა მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს, მშრომელებსა და კაპიტალისტებს შორის.

პოლიტიკური ინსტიტუტებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ ამოცანის ფარგლებში მუშაობდნენ: მათ უნდა შეექმნათ ძლიერი ინსტიტუციური ფორმა ახალი ტიპის დემოკრატიული წესრიგის ჩამოსაყალიბებლად. მნიშვნელოვანია ის, რომ 1950-1960-იან წლებში ევროპაში პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობა იყო ძალიან მაღალი, რაც ხელს უწყობდა ახალი პოლიტიკური წესრიგის ლეგიტიმაციის განმტკიცებას. გერმანელი სოციოლოგი მაქს ვებერი ამტკიცებდა, რომ ლეგიტიმაცია არის მდგომარეობა, რა დროსაც პიროვნებას სწამს და სჯერა, რომ ის ცხოვრობს ლეგიტიმური წესრიგის პირობებში. თავის მხრივ, ნდობის გარეშე ვერ შედგება ვერც ხელისუფლების ლეგიტიმაცია და ვერც დემოკრატია. ამ კონტექსტში, ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ინსტიტუტებისადმი მაღალი ნდობა უშუალოდ დაკავშირებული იყო პოლიტიკური კულტურისა და დემოკრატიის განვითარებასთან.

> რადგან ევროპის ომისშემდგომი ინსტიტუციური წესრიგი მორგებული იყო კეთილდღეობის სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრინციპებს, გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სოციალ-დემოკრატიული და დემოკრატიული სოციალიზმის ყაიდაზე მყოფი პარტიები. პოლიტიკური რეჟიმის რადიკალურმა ცვლილებამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მმართველობის ცენტრში მოაქცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართო ის პარტიები, რომელთა იდეოლოგიური იდენტობა სოციალური სახელმწიფოს აღიარებაზე იდგა. ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ავსტრია, გერმანია, ფინეთი, ნორვეგია, შვედეთი და სხვები, სოციალ-დემოკრატიული პარტიები იქცნენ მძლავრ პოლიტიკურ აქტორებად და დემოკრატიული სოციალიზმის კულტურა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დემოკრატიისა და პოლიტიკური ლეგიტიმაციის გაძლიერების საქმეში.

რასაკვირველია, მემარცხენე პარტიების გაძლიერება და დომინაცია ასევე განპირობებული იყო ევროპაში ინდუსტრიული საზოგადოებისა და ინდუსტრიული დემოკრატიის განვითარებით, სადაც, ერთი მხრივ, არსებობდა ძლიერი საშუალო ფენა, ხოლო, მეორე მხრივ კი, სახეზე გვქონდა ორგანიზებული მშრომელთა მოძრაობები. თავის მხრივ, როგორც საშუალო ფენის, ასევე მშრომელთა კლასის პოლიტიკურ კულტურასა და ცნობიერებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ისეთი იდეალების სტრუქტურა, როგორებიცაა თანასწორობა, კეთილდღეობა და სოციალური განვითარება, ამ კონტექსტში კი, ცხადია, ისინი, როგორც წესი, მემარცხენე პარტიების ამომრჩევლები იყვნენ. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ევროპაში ინდუსტრიული დემოკრატიის განვითარება უშუალოდ უკავშირდებოდა საშუალო ფენისა და მშრომელთა კლასის, როგორც წამყვანი სოციალური ძალების გაძლიერებას, რაც, თავის მხრივ, პოლიტიკურ ველზე სოციალ-დემოკრატიულ სტრატეგიებსა და დემოკრატიული სოციალიზმის პრინციპებს აძლიერებდა.

ცივი ომი, ცივი ომის დასასრული და ჩვენი დროის ევროპა

მართალია, ცივი ომი (1945-1991) იყო დიდი კონფრონტაციის ეპოქა ორ დაპირისპირებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცივილიზაციებს — სოციალისტურ და კაპიტალისტურ ცივილიზაციებს შორის, თუმცა ამ ეპოქამ მოიტანა ასევე ამ ორი სივრცის აღმასვლა და განვითარება. თავისი არსით, ცივმა ომმა გავლენა მოახდინა რო-

გორც საბჭოთა, ისე დასავლური საზოგადოებების, ინსტიტუციებისა და პოლიტიკური მმართველობის გარდაქმნასა და განვითარებაზე. ცივი ომის პერიოდში მოხდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების სოციალური რეფორმირება, ეკონომიკური განვითარება, მოდერნიზაცია და დემოკრატიზაცია. საბჭოთა კავშირში კი ცივი ომის პერიოდში კიდევ უფრო იმატა ურბანიზაციამ, სოციოეკონომიკურმა და კულტურულმა მოდერნიზაციამ და ინდუსტრიული სოციალიზმის ახალ დონეზე განვითარებამ. ასევე, რასაკვირველია, ცივი ომი ხშირად იწვევდა გლობალურ ცვლილებებსა და გლობალური პოლიტიკის ინტენსიურ ტრანსფორმაციას. მიუხედავად იმისა, რომ ცივი ომის პერიოდში სოციალისტურ და კაპიტალისტურ სამყაროს შორის არსებობდა ძლიერი კონფრონტაციული ველი, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არ არსებობდა რაიმე ტიპის თანამშრომლობის ფორმები.

საქმე იმაშია, რომ მიუხედავად მძლავრი იდეოლოგიური კონფლიქტისა, არსებობდა კულტურული და ეკონომიკური კავშირები საბჭოთა კავშირსა და დასავლეთ ევროპასთან. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული იყო 1960-1970-იანი წლები, როდესაც შემცირდა დაძაბულობა საბჭოთა კავშირსა და დასავლეთს შორის. შეიქმნა თანამშრომლობის ერთგვარი პრაქტიკა ვაჭრობისა და ეკონომიკის სფეროში და გამყარდა პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობები. ისტორიაში ეს პერიოდი ცნობილია, როგორც *Détente* ანუ განმუხტვის ეპოქა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო როგორც მშვიდობიანი თანაარსებობის, ასევე ოპონირების პერიოდი. სწორედ ამ პერიოდში წამოიწყეს ვილი ბრანდტის *Ostpolitik* (ანუ აღმოსავლეთის პოლიტიკა), რაც გულისხმობდა დასავლეთ გერმანიის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებთან, რამაც ეფექტურად და წარმატებით იმუშავა. ამავე პერიოდში, ჰელსინკიში გაიმართა მოლაპარაკებათა არა ერთი რაუნდი, საბჭოთა კაშირსა და დასავლეთ ევროპას შორის, ევროპაში მშვიდობისა და უსაფრთხოების განვითარებისთვის. ასევე ცნობილია ფინეთის პრეზიდენტის ურჰო კეკონენის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ და ფინეთ-საბჭოთა კავშირის წარმატებული სავაჭრო ურთიერთობები. ამავე ეპოქაში, შეგვიძლია მოვიყვანოთ თანამშრომლობის სხვა მაგალითები, მათ შორის შვედეთსა და საბჭოთა კავშირს შორის (რასიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში) ან ავსტრიასა და საბჭოთა კავშირს შორის (ენერგეტიკისა და ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის კუთხით).

თუმცა სოციალისტურ და კაპიტალისტურ სამყაროს შორის მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის ეპოქა, ანუ განმუხტვის ეპოქა, 1970-იანი წლების მიწურულსა და 1980-იანი წლების დასაწყისში კრიზისში შევიდა, რაც გამოიხატა ნეოკონსერვატული და ნეოლიბერალური ძალების აღზევებით დასავლეთში, რომელსაც სათავეში ედგა შეერთებული შტატების პრეზიდენტი რონალდ რეიგანი, რომელიც პრეზიდენტად

1980 წელს აირჩიეს. 1980-იან წლებში თანდათანობით სრულდება ორი დაპირისპირებული ცივილიზაციის ოპონირებისა და თანამშრომლობის ეპოქა. საბჭოთა კავშირში 80-იანი წლების ბოლოს, *პერესტროიკისა* და *გლასნოსტის* შედეგად დაიწყო საბჭოთა კომუნიზმის დაცემა. საბჭოთა კავშირის ოფიციალური დაშლით ასევე ოფიციალურად დასრულდა ცივი ომი. ცივი ომის დასრულებამ მოიტანა კომუნისტური წყობილების ისტორიული ფაზის დასასრული და, შესაბამისად, კაპიტალიზმის გამარჯვება. თავის მხრივ, ამან ხელი შეუწყო თანდათანობით სოციალისტური იდეების შესუსტებასა და ნეოლიბერალური კაპიტალიზმის ანუ, როგორც მას ამერიკელი სოციოლოგი ჯონ ბელამი ფოსტერი უწოდებს — „აბსოლუტური კაპიტალიზმის“ ტრიუმფის დამკვიდრებას.

ამ კონტექსტში, თანამედროვე ევროპაში, მეცნიერები და ინტელექტუალები ბევრს საუბრობენ კრიზისებზე, კონკრეტულად კი, ცენტრალური ადგილი უკავია დემოკრატიისა და კეთილდღეობის სახელმწიფოს კრიზისის შესახებ მსჯელობას. თავის მხრივ, დემოკრატიის კრიზისი გადაჯაჭვულია კეთილდღეობის სახელმწიფოს კრიზისთან. საქმე იმაშია, რომ ევროპული დემოკრატიისა და ზოგადად დემოკრატიის სტაბილურობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ის, თუ რამდენად კარგად ცხოვრობს ესა თუ ის საზოგადოება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დემოკრატია ძლიერი და განვითარებულია მაშინ, როდესაც სახელმწიფო აკმაყოფილებს მოქალაქეთა სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ პოლიტიკურ საჭიროებებს. ამ გაგებით, დემოკრატიის კრიზისი ევროპაში უკავშირდება რადიკალური მემარჯვენე პოლიტიკების განვითარებას, რაც გულისხმობს სოციალური ინტერესების ნიველირებას და კაპიტალის ინტერესების წინ წამოწევას. ნეოლიბერალური ორგანიზების პრინციპები თავისი შინაარსით ანტიდემოკრატიულია, რადგან იგი უგულებელყოფს სახელმწიფოს სოციოეკონომიკურ პასუხისმგებლობას, კოლექტიურ ინტერესებსა და საზოგადოებრივ სიკეთეებს.

> აღსანიშნავია ისიც, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და კერძოდ, საქართველოში ფუნდამენტური ცვლილებები და რეფორმები სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში ნეოლიბერალური იდეებით დომინირებული გლობალიზაციის პირობებში აღმოცენდა. ამ ვითარებაში პოლიტიკური და საზოგადოებრივი დისკურსის მიღმა რჩება ევროპული განვითარების მოდელების ის ფუნდამენტური და არსებითი ნიშან-თვისებები, რაც დღესაც თანამედროვე მრავალმხრივი კრიზისის ვითარებაში მაინც უზრუნველყოფს ევროპის ქვეყნებში ისეთი ცხოვრების პირობების შენარჩუნებას, რომელიც კვლავ მიმზიდველი რჩება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ბევრი ქვეყნისათვის.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კეთილდღეობის სახელმწიფოს ევროპული მოდელი, რომელიც ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოცენებული დიდი პოლიტიკური და სოციალური რეკონსტრუქციების შედეგს წარმოადგენს, სახელმწიფოს ორგანიზების იმაზე უკეთესი მოდელია, ვიდრე კაპიტალისტური სახელმწიფოს სხვა მოდელები. თანამედროვე ევროპული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ის სახელმწიფო და საზოგადოებაა უკეთესი, სადაც კაპიტალი საზოგადოებრივ ინტერესებს ექვემდებარება, ხოლო კერძო ინტერესებზე წინ კი კოლექტიური ინტერესები დგას. მიუხედავად იმ გამოწვევების, საფრთხეებისა და სირთულეებისა, რომლებიც ნეოლიბერალური და მემარჯვენე პოლიტიკებიდან მოდის, თანამედროვე ევროპული ქვეყნები კვლავ წარმოადგენენ კეთილდღეობისა და სოციალური განვითარების მოდელს, რაც მნიშვნელოვნად არის განპირობებული კეთილდღეობისა და განვითარების მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ეპოქის ისტორიული მეხსიერების გავლენითა და საზოგადოების სტრუქტურის იმგვარი ორგანიზებით, რომელიც ხელს უწყობს კეთილდღეობისა და განვითარების ევროპული პოლიტიკის შენარჩუნებას.

პასუხისმგებელი სახელმწიფო და კეთილდღეობის ინსტიტუტები ევროპაში

ალექსანდრე ცაგარელი,
თორნიკე ჩივაძე

შესავალი

საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის ევროპული ტიპის განვითარება ქვეყნის განვითარების საუკეთესო მოდელად მიიჩნევა. ამის ნათელსაყოფად არაა აუცილებელი სპეციალური კვლევა-ძიება. როგორც ჩატარებული გამოკითხვები, ასევე ბევრი ჩვენგანის თანამემამულეებთან პირადი საუბრები თუ საჯარო დისკუსიები ამ ფაქტს ადასტურებს. ადამიანებს სურთ, რომ ჩვენთანაც იყოს ცხოვრების ისეთი პირობები და დონე, როგორც ევროპულ ქვეყნებშია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ თანდათანობით მტკიცდებოდა შეხედულება, რომ ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესრიგის, დემოკრატიის, პიროვნული თავისუფლებების (სიტყვის, გადაადგილების, არჩევნის), საბაზრო ეკონომიკისა (კერძო საკუთრება და კონკურენცია სახელმწიფოს გეგმიური მბრძანებლური ეკონომიკის ნაცვლად) და კანონის უზენაესობის (მათ შორის სასამართლოს დამოუკიდებლობა ხელისუფლებისგან) დამკვიდრება. ამ მიმართულებებით სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა და ამ პრინციპების მეტ-ნაკლებად გავრცელებაც დაიწყო. მაგრამ ვარაუდი, რომ ჩვენ დასახულ მიზანს მივაღწევდით (და მით უმეტეს სწრაფად), არ გამართლდა.

სასურველი ცხოვრების პირობებითა და დონით მოსახლეობის უკიდურესად მცირე ნაწილია უზრუნველყოფილი და, შესაბამისად, არსებული ვითარებით კმაყოფილი. ხშირად გაიგონებთ, რომ ვერ ვვითარდებით, რადგან სიტყვის თავისუფლება შეზღუდულია, კერძო საკუთრება დაუცველია, კონკურენციის წესები ირღვევა („სახელმწიფო და ჩინოვნიკები ერევიან ეკონომიკაში კერძო ინტერესების სასარგებლოდ“), სასამართლო არ არის დამოუკიდებელი პოლიტიკური ხელმძღვანელობისგან. ყოველივე ეს მეტწილად „ცუდ მმართველებს“ ბრალდებათ, რომლებიც „ხარბი, არაპატიოსანი, უსამართლო და უსინდისო“ ადამიანები არიან და ამ მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია ამ „ცუდი მმართველების“ „კარგი მმართველებით“ ჩანცვლება. ამგვარი შეხედულებები დომინირებს არა მარტო პოლიტიკურ სივრცეში (ოპოზიციის მთავარი პოზიცია!),

არამედ საზოგადეობრივ დისკურსშიც (მედია, აქტიური არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები...).

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ჩვენ რამდენჯერმე მოვახერხეთ (სხვადასხვა გზებით) „ცუდი მმართველების“ „კარგებით“ (როგოცრ ბევრს მიაჩნდა) შეცვლა, მაგრამ სასურველ მიზნებს ვერ მივაღწიეთ, თანდათან ეს „კარგი მმართველები“ „ცუდებად“ იქცეოდნენ.

რა განაპირობებს ამ უკვე ტრადიციად ქცეულ შეცდომას, რატომ ვერ ხერხდება ევროპული ცხოვრების პირობების და დონის მიღწევა, ამ მიმართულებით წინსვლა?

საქმე იმაშია, რომ მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ პრინციპებზე ფოკუსირება (სიტყვის თავისუფლება, დამოუკიდებელი სასამართლო, კერძო საკუთრების დაცულობა, კონკურენცია ბაზარზე) არ არის საკმარისი ევროპული ტიპის სახელმწიფოს ფორმირებისთვის, მეტიც, თავად ამ პრინციპების მეტ-ნაკლებად სრულად რეალიზებაც შეუძლებელია იმ ფუნდამენტური წესებისა და ქცევის ტიპების შემოღებისა და დამკვიდრების გარეშე, რომელიც ევროპული მოდელის მთავარი განმსაზღვრელია. საუბარია ევროპული ტიპის პასუხისმგებლიან სახელმწიფოსა და კეთილდღეობის ინსტიტუტებზე, რომლებიც ქმნიან მყარ საფუძველს სასურველი ცხოვრების პირობების შექმნისთვის და, მათ შორის, ზემოთ ხსენებული პრინციპების დასამკვიდრებლად.

რას ნიშნავს კეთილდღეობის სახელმწიფო და როგორია პასუხისმგებელი ინსტიტუტები?

კეთილდღეობის სახელმწიფოს განსაზღვრაში დავესესხოთ ბრიგსს: „კეთილდღეობის სახელმწიფო“ წარმოადგენს სახელმწიფოს, რომელშიც ორგანიზებული ძალაუფლება (პოლიტიკის და ადმინისტრირების მეშვეობით) მიზანმიმართულადაა გამოყენებული, რათა შეცვლილი იქნას საბაზრო ძალების მიერ გამოწვეული შედეგები მინიმუმ სამი მიმართულებით: 1. სახელმწიფო ახდენს ინდივიდებისათვის და ოჯახებისთვის **მინიმალური შემოსავლის** გარანტირებას მათი შრომისა და საკუთრების საბაზრო ღირებულების მიუხედავად; 2. ამცირებს **სოციალური დაუცველობის საფრთხის** მასშტაბებს, რაც საშუალებას აძლევს ინდივიდებს და ოჯახებს მომზადებულები შეხვდნენ სოციალურ გამოწვევებს (მაგალითად, ავადმყოფობა, სიბერე, უმუშევრობა და ა.შ.), რომლებიც სახელმწიფოს ჩარევის არარსებობის შემთხვევაში, ინდივიდუალურ და ოჯახის კრიზისს გამოიწვევდა; 3. კეთილდღეობის სახელმწიფო ყველა მოქალაქისთვის (კლასის და სტატუსის მიუხედავად) გარკვეულ შეთანხმებულ ფარგლებში არსებული საუკეთესო **სოციალური სერვისების** მიწოდებას ახდენს (Briggs, 1961).

ესპინგ ანდერსენი კეთილდღეობის სახელმწიფოს მთავარ ფუნქციად განიხილავს ისეთი სოციალური წესრიგის უზრუნველყოფას, რომელშიც ინდივიდს შეუძლია შეინარჩუნოს ცხოვრების დონე სამუშაო ბაზრის გარეთ დარჩენის შემთხვევაში, იქნება ეს უმუშევრობა, ასაკი, ავადმყოფობა თუ სხვა. ანუ კეთილდღეობა არ განისაზღვრება მხოლოდ ეკონომიკაში არსებული შესაძლებლობებით, არამედ იმითაც, თუ რამდენად ინარჩუნებს ადამიანი ცხოვრების დონეს, როდესაც ის ეკონომიკურად აქტიური არ არის — თანამედროვე საზოგადოებაში ეს თავისუფლებების ერთ-ერთ გარანტია.

როგორ ახდენს კეთილდღეობის სახელმწიფო ამის უზრუნველყოფას? პასუხი ერთია — გადასახადების მობილიზაციით და პასუხისმგებლიანი მმართველობით.

პასუხისმგებელი სახელმწიფო პირდაპირ (ინსტიტუციურ) ვალდებულებას იღებს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მათ შორის ეკონომიკურ განვითარებაზე, რომელშიც უნდა მონაწილეობდეს ყველა და არა საზოგადოების მცირე ნაწილი. პასუხისმგებელია ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების გეგმაზომიერ გამოყოფასა და რეალიზაციაზე, კარგ და ხელმისაწვდომ ჯანდაცვაზე, განათლებაზე, სოციალურ უსაფრთხოებაზე და სიმდიდრის განაწილებასა და გადანაწილებაზე. მისი ინსტრუმენტია აქტიური მოქმედება დასაქმების, სოციალური დაცვის, დაზღვევისა და ეკონომიკური განვითარების სფეროებში.

უმუშევრობის დაზღვევა გერმანიაში

გერმანიაში დასაქმებული და დამსაქმებელი საშუალოდ დასაქმებულის შემოსავლის (Gross Income) 3-3%-ს თანაბრად, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სავალდებულო წესით იხდიან (სახელმწიფოს ქმედება (ს.ქ.) N.1). სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში მოქალაქე მიმართავს ადგილობრივ დასაქმების ცენტრს, რომელიც მას სთავაზობს ან ალტერნატიულ სამუშაო ადგილს, ან პროფესიულ გადამზადებას (ს.ქ. N.2), მოქალაქე რეგისტრირდება სამუშაოს მაძიებლად და საბოლოოდ დასაქმების სააგენტოსგან 6-იდან — 24 თვემდე იღებს უმუშევრობის ანაზღაურებას — ბოლო ხელფასის 60-67%-ის ოდენობით (დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ხანი იხდიდა დაზღვევის გადასახადს პირი). ამის პარალელურად საქართველოში არ არსებობს უმუშევრობის დაზღვევის გადასახადი, დეფაქტო არ არსებობს ადგილობრივი დასაქმების ცენტრები და ინსტიტუცია, რომელიც მოქალაქეს დააკავშირებს ბიზნესთან და გაუადვილებს ალტერნატიული დასაქმების შესაძლებლობას, და საბოლოოდ არ არსებობს უმუშევრობის ანაზღაურება. საქართველოს შემთხვევაში სახელმწიფოს შრომის ბაზარზე წარმოქმნილ პრობლემებზე პასუხისმგებლობა სრულად აქვს მოხსნილი.

ამის საპირისპიროა „მცირე სახელმწიფოს“ მოდელი, რომელიც აცხადებს, რომ ეს ყველაფერი ცალკეული ინდივიდების პასუხისმგებლობაა, ამ ყველაფრის უზრუნველყოფაში სახელმწიფოს როლი მინიმალური უნდა იყოს — ეს სფეროები არ საჭიროებს სახელმწიფოს სპეციალურ მოქმედებას (მხოლოდ ცალკეულ შემთხვევების გარდა), რადგან ინდივიდები და კომპანიები ამ ყველაფერს უკეთ გააკეთებენ. რთული მისახვედრი არაა, რომ ჩვენი სახელმწიფოს მოდელი სწორედ ეს უკანასკნელია.

თუ გერმანიის მაგალითს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ აქ სახელმწიფო გვევლინება არა უბრალოდ სოციალური რისკის დამზღვევად, არამედ ეკონომიკურ განვითარებაზე პასუხისმგებელ მხარედაც — ის დახმარებასთან ერთად უმუშევრად დარჩენილისთვის უზრუნველყოფს ახალი უნარ-ჩვევების ათვისების შესაძლებლობას და გადამზადებას. ამასთან, გერმანიაში სახელმწიფოს როლი ეკონომიკურ განვითარებაში ძალიან ბევრი მიმართულებით ვლინდება, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

დღევანდელ ქართულ სახელმწიფოში ეს ყოველივე მიიჩნევა მეორეხარისხოვან საკითხებად და მათზე პოლიტიკური დისკუსია არ მიმდინარეობს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მათემატიკური სიზუსტით გამორიცხავს საქართველოს ევროპულ სახელმწიფოდ ქცევის შესაძლებლობას (ეს არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია საქართველოს რომელიმე ევროსტრუქტურაში გაერთიანება, უბრალოდ მიუთითებს იმაზე, რომ ის თავისი არსით არ იქნება ევროპული).

ევროპული თანასწორობა და უთანასწორო საქართველო

ჯერ კიდევ ძველი ბერძნები საუბრობდნენ სახელმწიფოსთვის ეკონომიკური უთანასწორობის მნიშვნელობაზე — *„დისბალანსი ღარიბსა და მდიდარს შორის რესპუბლიკების ყველაზე ძველი და დამღუპველი სენია“* — წერდა პლუტარქე. მასზე ბევრად ადრე არისტოტელე ძლიერ და დიდ საშუალო ფენას დემოკრატიის საფუძვლად წარმოაჩენდა. ის რესპუბლიკას იცავდა, ერთი მხრივ, უკიდურესი (დემაგოგების) დემოკრატიისგან და, მეორე მხრივ, ოლიგარქიისგან. იგი მეტი თანასწორობის სიკეთეს ასაბუთებდა არა სამართლიანობის თუ უსამართლობის კატეგორიებიდან (რაც, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესი საკითხია), არამედ სახელმწიფოს სტაბილურობის საჭიროებებიდან გამომდინარე.

დემოკრატიისა და უთანასწორობის დამოკიდებულება თანამედროვე სამყაროსთვის კვალავ მნიშვნელოვანია. ამერიკის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ლუი

ბრენდაისი ამერიკულ საზოგადეობას 20-იან წლებში აფრთხილებდა — *„ქვეყანაში შესაძლოა გვქონდეს ან დემოკრატია, ან ერთეულების ხელში კონცენტრირებული სიმდიდრე — ეს ორი ერთად არ იქნება“*. **ამ პრინციპის მიხედვით, ეკონომიკური თანასწორობა დანახულია როგორც დემოკრატიის წინაპირობა, ხოლო უკიდურესი უთანასწორობა — დემოკრატიის მტერი.** ვითარებაში, რომელშიც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ორიენტირებულია ყოველდღიურ გადარჩენაზე, დემოკრატიული პროცესი ვერ შედგება და მისი ნიშნები მხოლოდ წინასაარჩევნო მობილიზაციის დროს გამოვლინდება (და უმეტესად არა როგორც ნამდვილად პოლიტიკური აქტიურობა, არამედ უფრო მეტად ისევ ყოველდღიური გადარჩენის ნაწილი), რაც არ გულისხმობს აქტიურ მოქალაქეს, რომელიც ჩართულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მეორე, როდესაც სიმდიდრე უთანასწოროდაა განაწილებული, პოლიტიკური გავლენებიც უთანასწოროა და სახელმწიფო აპარატი უმცირესობას აქვს ხელში ჩაგდებული, რაც სახელმწიფოს საზოგადოებრივი ინტერესების ნაცვლად კერძო ინტერესებზე დაქვემდებარებულად აქცევს. ეკონომიკური განვითარების მხრივ ეს ასევე გულისხმობს სახელმწიფოს მოქმედების არეალის შეზღუდვას, რამდენადაც ეს უკანასკნელი მოიაზრებს ფინანსურ რეფორმებს, ეკონომიკის წახალისების, იმპორტის და ექსპორტის მართვას, პრიორიტეტული დარგების წახალისებას და სხვა მნიშვნელოვან სტრატეგიებს, რომლებიც შესაძლოა არსებული ეკონიმიკური კლასის ინტერესებთან არ მოდიოდეს შესაბამისობაში. **დღეს საქართველოში ის კი არაა პრობლემა, რომ სახელმწიფო „აკონტროლებს“ და ერევა ბიზნესის საქმეში, როგორც ეს ხშირად პოლიტიკოსებისგან გვესმის, არამედ ის, რომ „ბიზნესი“ სახელმწიფოს განიხილავს, როგორც მასზე დაქვემდებარებულს და მისი ნების აღმსრულებელს, რაც დაფუძნებულია კერძო მოგების ლოგიკაზე.** ის, რომ კერძო ბიზნესმენების მოგება შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ეკონომიკური განვითარების საჭიროებებს, დასაბუთებას აღარ საჭიროებს.

საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციამ, მართალია, მოქალაქეებს გამოხატვის, პოლიტიკური გაერთიანების და არჩევანის თავისუფლების უფლებები მოუტანა, თუმცა ამ ყველაფრის პარალელურად დაიკარგა დასაქმების გარანტირებული უფლება, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, კარგ განათლებასა თუ საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობა და სხვა სოციალური „უფლებები“.

ცხადია, ამ სოციალური უფლებებისთვის ფულს საბჭოთა სახელმწიფო რაიმე განცალკევებული „ჯიბიდან“ არ იხდიდა. საგადასახადო სისტემა, ძირითადად, ეფუძნებოდა საწარმოებიდან მიღებულ შემოსავლებს და ბრუნვის გადასახადს. დაქირავებულების მიერ პირდაპირი გადასახადების წილი ბიუჯეტში უმცირეს პროცენტს შეადგენდა. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური ღირებულების ნაწარმის ათვისების გამო მიიღწეოდა

ეფექტური ხარჯვა და კეთილდღეობის შედარებითი თანასწორობა. ამის საუკეთესო მაგალითია ბინების ე.წ. „დარიგება“ რაზეც გაწეული ხარჯებიც, ცხადია, ყველა დასაქმებულისგან შექმნილი ეკონომიკიდან მიიღებოდა, მაგრამ არ იყო დამოკიდებული კერძო ოჯახის სახსრებზე და ეს ფინანსური დაწოლა მთელ საზოგადოებაზე „ნაწილდებოდა“.

საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ განათლება, სოციალური დაცვა, დასაქმება და ჯანდაცვა სახელმწიფოს მოვალეობიდან მეტწილად ინდივიდის და ოჯახების პასუხისმგებლობად იქცა, რაც კაპიტალისტური ეკონომიკის პირობებში, თუ მას შემაკავებელი მექანიზმები არ ზღუდავს ან არ ტარდება საზოგადოებაში მეტ-ნაკლები თანასწორობისკენ მიმართული პოლიტიკა, ნიშნავს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი განწირულია სიღარიბისთვის. უთანასწორობის ისტორიულ შემაკავებლებად XX საუკუნის მეორე ნახევრამდე უფრო მეტად ომები, კატასტროფები და ეკონომიკური კრიზისები გვევლინებოდნენ, ანუ იქმნებოდა სიტუაციები, სადაც ყველა ერთად ღარიბდებოდა. **თუმცა კაპიტალიზმის პირობებში ევროპული „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ფორმირებამ შესაძლებელი გახადა უფრო მაღალი თანასწორობის მიღწევა არა საერთო გაღარიბების, არამედ გამდიდრებისას.**



გრაფიკი 1. *ჯინის ინდექსი[1] რჩეული ქვეყნებისთვის 1989 (ან ამ დეკადის ხელმისაწვდომ წელს) და 2018 წელს. წყარო: https://stonecenter.gc.cuny.edu/ constructed by Stone Center Senior Scholar Branko Milanovic. აგრეთვე იხ.: https://databank.worldbank.org/*

[1] ჯინის კოეფიციენტი (შემოსავლების კონცენტრაციის მაჩვენებელი) — გვიჩვენებს შემოსავლების ფაქტობრივი განაწილების გადახრას მათი თანაბარი განაწილების ხაზიდან. თანაბარი განაწილებისას ჯინის ინდექსი ნულის ტოლია, აბსოლუტური უთანაბრობისას კი — ერთის (ან 100).

როგორც გრაფიკზე ვხედავთ, საქართველომ 30 წელიწადში 15 ერთეულით გაიუარესა მდგომარეობა: უთანასწორობის 25 ერთეულიდან — 39 ერთეულზე ავიდა. მაშინ, როდესაც ამ მხრივ სიტუაცია სკანდინავიურ ფინეთსა თუ დანიაში მხოლოდ 5 ერთეულამდე გაუარესდა.

მიუხედავად მზარდი უთანასწორობისა, ტრადიციული სოციალ-დემოკრატიული ქვეყნები (სადაც, მიუხედავად მმართველი პარტიის იდეოლოგიისა, საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე მიმართული წესრიგი არსებობს) მსოფლიოში ყველაზე უფრო თანასწორ საზოგადოებებს წარმოადგენენ. პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, სრული ლიბერალიზაციის და შოკური ტრანსფორმაციის[2] გამო, ეს ტენდენციები ვერ მოითოკა და დროის ძალიან მოკლე პერიოდში საზოგადოება რადიკალურად გაიყო უმცირესს მდიდრებად და შეჭირვებულ უმრავლესობად.



გრაფიკი 2. *ეროვნული შემოსავლების განაწილება საშემოსავლო ჯგუფების მიხედვით. ევროპაში შედის ევროკავშირის ქვეყნები, ნორვეგია და შვეიცარია.*

გრაფიკი 2 გვიჩვენებს მოსახლეობის საშემოსავლო ფენების მიერ მთლიანი შემოსავლების გადანაწილებას. ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპაში სხვა ეროვნული შემოსავლების განაწილება უფრო მეტად თანასწორია, ვიდრე აშშ-ში და, რა თქმა უნდა, საქართველოში, სადაც წლიური შემოსავლის თითქმის ნახევარს ყველაზე მდიდარი 10% იღებს.

[2] „შოკური თერაპიით“ არის ცნობილი 90-იან წლებში ის რეფორმები, რომელთა მიზანი იყო, ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში რეფორმების მკვეთრი და სწრაფი განხორციელებით, შოკური ეფექტით საბაზრო წესრიგის დამყარება.

შუა 40% წლიურად, თითქმის, შემოსავლების 45%-ს იღებს, ხოლო ყველაზე მდიდარი 10% — 32%-ს. **საქართველოში უმდიდრესი 10% იღებს მთლიანი შემოსავლების თითქმის ნახევარს.**

საქართველოში შემოსავლების უმცირესობის ხელში კონცენტრაციის ერთადერთი ახსნა თავად ეკონომიკის სტრუქტურაში უნდა ვეძებოთ. ამაში იგულისხმება, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩართულია დაბალშემოსავლიან სექტორებში, როგორებიცაა — მომსახურეობა, საცალო ვაჭრობა და უფრო მეტად ნატურალური მეურნეობა, რომელიც გამოკვებისთვის და არა ბაზრისთვისაა განკუთვნილი. ამის საპირისპიროდ მცირე ნაწილი კონცენტრირებულია მაღალშემოსავლიან სექტორებში, როგორიცაა, მაგალითად: ინჟინერია, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ცოდნატევადი დარგები, საბანკო სექტორი და სხვა.



გრაფიკი 3. *ყველაზე დაბალშემოსავლიანი 50%-ის და მაღალშემოსავლიანი 10%-ის საშუალო შემოსავლების შეფარდება და მშპ ერთ სულ მოსახლეზე. წყარო: https://wid.world/*

თუმცა, ამასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია **სახელმწიფოს მიერ გატარებული ეკონომიკური განვითარებისა და რესურსების განაწილების პოლიტიკა, ეკონომიკური საკუთრების განაწილება,**[3] **საგადასახადო და ხარჯვითი სისტემა, ინსტიტუციური მოწყობა,** შესაბამისად, უთანასწორობის სხვადასხვა მაჩვენებლებს ვერ ავხსნით

[3] მაგალითად, სამეურნეო მიწის განაწილება, რომელიც წინათ კოლექტიური ან სახელმწიფოს საკუთრება იყო, საქართველოში მეტად უთანასწოროდ მოხდა. დღესდღეისობით მეურნეობების 1.5%-ს გააჩნია მთელი სამეურნეო მიწის ფართობის 52%-ამდე. იხ: (In)equality in Georgia: Anthology of articles. Friedrich-Ebert-Stiftung. 2021.

მხოლოდ ეკონომიკის ჩამორჩენილობით. მესამე გრაფიკზე ვხედავთ, რომ დაახლოებით მსგავსი შემოსავლების მქონე ქვეყნებში უთანასწორობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება. მაგალითად, თუ მოსახლეობას დავყოფთ შემოსავლების მიხედვით და მათგან გამოვყოფთ ყველაზე ნაკლებშემოსავლიან 50%-სა და ყველაზე მაღალშემოსავლიან 10%-ს, შემდგომ შევადარებთ ამ ორი ჯგუფის საშუალო შემოსავალს, ვნახავთ, რომ საქართველოში 10%-ის საშუალო შემოსავალი 17-ჯერ აღემატება დაბალშემოსავლიანი 50%-ის საშუალო მაჩვენებელს, როდესაც ბევრ უფრო ღარიბ ან დაახლოებით მსგავსი შემოსავლის მქონე ქვეყანაში უთანასწორობის ეს მაჩვენებელი ბევრად დაბალია.

კეთილდღეობის სახელმწიფოს აღმასვლა ევროპაში

კაპიტალიზმის თავდაპირველად ევროპაში გაჩენა[4] არა მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ ის იქ ყველაზე მეტადაა განვითარებული, არამედ იმასაც, რომ ამ საზოგადოებებში ყველაზე მეტადაა განვითარებული კაპიტალიზმისგან გამოწვეული უარყოფითი სოციალური შედეგების დამაბალანსებელი ინსტიტუციებიც. ეს უკანასკნელი დღევანდელი გაგებით პირველადი სოციალური დაზღვევის სავალდებულო მექანიზმის სახით ბისმარკის გერმანიაში შემოვიდა და მოიცავდა ჯანმრთელობის დაზღვევას კვალიფიციური მუშებისთვის — 1883 წელს, ინდუსტრიული შემთხვევების სქემას — 1884 წელს და ასაკობრივი და ინვალიდობის დაზღვევას — 1889 წელს. ასეთი დაზღვევის სქემები თანდათან უფრო გაფართოვდა და ინდუსტრიული მუშათა კლასიდან მთელ მოსახლეობაზე გავრცელდა. მოგვიანებით სხვა ქვეყნებმაც დაიწყეს საპენსიო სისტემების შემოღება. დღესდღეობით ევროპაში საპენსიო უზრუნველყოფა წარმოადგენს კეთილდღეობის ერთ-ერთ მთავარ საფუძველს.

[4] როდესაც ვსაუბრობთ ევროპაზე, ვგულისხმობთ მხოლოდ ცენტრალურ და დასავლეთ ევროპას.



გრაფიკი 4. *სავალდებულო საპენსიო შენატანის განაკვეთი საშუალო ხელფასის გათვალისწინებით. მეთოდოლოგიისთვის იხილეთ: OECD Pensions at a Glance. (n.d.). OECD iLibrary.*

გრაფიკ 4-ზე მოცემულია საპენსიო შენატანების განაკვეთები. საპენსიო სავალდებულო შენატანები, ძირითადად, ნაწილდება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. როგორც გრაფიკზე ვხედავთ, უმეტესწილად დამსაქმებელია ის, ვინც შენატანების მეტ წილს ტვირთულობს. საქართველოში არ არსებობს საჯარო საპენსიო შენატანები, რომელიც თაობათა შორის სოლიდარობის პრინციპს დაეფუძნებოდა. თუმცა დაინერგა დაგროვებითი პენსია, რომელიც წლების შემდგომ გასცემს ბენეფიტებს და ამჟამინდელ პენსიონერებზე გავლენა არ აქვს.

საპენსიო სისტემას ევროპის ქვეყნებში აქვს უზარმაზარი გამათანასწორებელი ეფექტი. **პენსია, როგორც გადავადებული შემოსავალი,** გულისხმობს, რომ სახელმწიფო აწესებს სავალდებულო შენატანს, რომელსაც აფინანსებენ დამსაქმებლები და დასაქმებულები. დაგროვილი თანხა ირიცხება დასაქმებულის ანგარიშზე და მხოლოდ საპენსიო ასაკის მიღწევის შემდგომ შეიძლება მისი გამოყენება. პენსია, როგორც ტრანსფერი, ესაა დასაქმებულთა და დამსაქმებელთა შენატანებით, ასევე საერთო სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლების მეშვეობით მიმდინარე პენსიონრების უზრუნველყოფა, რითიც მნიშვნელოვნად იკლებს ეკონომიკური უთანასწორობა და იზრდება ღირსეული ცხოვრების პირობები ასაკოვანი მოქალაქეებისთვის.



გრაფიკი 5. *თეორიული ჩანაცვლების კოეფიციენტი სრულ კარიერულ შენატანებზე. წყარო: OECD Income Distribution database (http://oe.cd/idd); საქართველოში ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობის კვლევა — მეხუთე ეტაპი — 2017 მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა, UNICEF 2017. საქართველოსთვის აღებულია 2017 წლის მონაცემი და სიღარიბე დაანგარიშებულია მედიანური მოხმარების 60%-ზე, რომელიც ხელმისაწვდომია.*

აქედან გამომდინარე, საქართველოში ჩანაცვლების კოეფიციენტი (საშუალო შემოსავალთან პენსიის მიმართება) დაბალია, როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. ევროპულ ქვეყნებში, რადგან საჯარო პენსიები ეფუძნება განსაზღვრულ ბენეფიტებსა და თაობათა შორის სოლიდარობის პრინციპს, უზრუნველყოფილია მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტი. ამასთან ერთად, პენსიონერთა სიღარიბეც ამ ქვეყნებში ბევრად დაბალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. საქართველოში პენსიონერთა 20%-ზე მეტი მედიანური შემოსავლის 60%-ზე დაბალი შემოსავლით ცხოვრობს (UNICEF, 2018).

ეს შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა სავალდებულო საპენსიო შენატანები და მაღალი საგადასახადო განაკვეთები. აქ გამოყენებულია სოლიდარობის პრინციპი,

ევროპული საპენსიო სქემა

საპენსიო სქემები 3 მთავარ სვეტს ეფუძნება, ესენია: 1. საბაზისო პენსია, რომელიც არ არის დამოკიდებული პენსიონერის წარსულ შემოსავლებზე, ითვალისწინებს მინიმალურ საარსებო ოდენობას და სახელმწიფოს საერთო ბიუჯეტიდან ფინანსდება; 2. სავალდებულო საპენსიო შენატანებიდან მიღებული პენსია, რომელიც სამსახურეობრივი შემოსავლიდან ირიცხება ცხოვრების განმავლობაში და უმეტეს ნაწილს დამსაქმებლები იხდიან და 3. ნებაყოფლობითი კერძო დაზღვევა, რომელშიც თანხა გროვდება დასაქმებულის მიერ ნებაყოფლობით საფუძველზე.

რომელიც გულისხმობს არსებული ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის და ბიზნესის მიერ პენსიონერთა დაფინანსებას, რომლებმაც თავის დროზე (როდესაც მუშაობდნენ) დააფინანსეს სხვა პენსიონერები. საქართველოში საპენსიო სისტემა მინიმალისტურია და თითქმის არ არსებობს სოლიდარობის პრინციპი, რაც, საბოლოო ჯამში, აისახება კიდეც ასაკოვანთა სოციალურ მდგომარეობაზე.

კეთილდღეობის სახელმწიფოს გაძლიერების მეორე ისტორიულ ეტაპად პირობითად შეგვიძლია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდი მივიჩნიოთ. 1948 წელს გამოქვეყნდა ცნობილი ეკონომისტის, უილიამ ბევერიჯის ანგარიში. დოკუმენტში იდენტიფიცირებულია 40-იანი წლების ბრიტანეთში გავრცელებული ხუთი სოციალური ბოროტება, რომელსაც სახელმწიფო კეთილდღეობის მექანიზმების შექმნით უნდა დაუპირისპირდეს. ესენია:

- საჭიროებები, რომელთა დაუკმაყოფილებლობას სიღარიბე იწვევს;
- უცოდინრობა, რასაც განათლებაზე ხელმიუწვდომლობა იწვევს;
- სიბინძურე, რასაც საცხოვრებლის არარსებობა იწვევს;
- დაავადებები, რასაც ჯანდაცვაზე ხელმიუწვდომლობა იწვევს;
- უსაქმობა, რაც კაპიტალისტური უმუშევრობის შედეგია.

დღეისთვის ეს სია გაფართოვდა და მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ეკოლოგიის საკითხმაც. ევროპის განვითარებას ისტორიული რაკურსიდან თუ შევხედავთ, ვნახავთ, რომ სახელმწიფოები ბევერიჯის მიერ სახელმწიფოს პასუხისმგებლობად იდენტიფიცირებულ პრობლემებს უფრო და უფრო დიდ ყურადღებას უთმობდნენ. მიუხედავად მნიშვნელოვანი განსხვავებებისა სხვადასხვა კეთილდღეობის სახელმწიფოს შორის, (მაგალითად, სოციალ-დემოკრატიული მოდელები უფრო ყოვლისმომცველი და გამათანაბრებელია, ვიდრე ბრიტანული ან ამერიკული), კეთილდღეობის ხარჯები შეუქცევლად იზრდებოდა მიუხედავად მმართველი პარტიების იდეოლოგიებისა.



გრაფიკი 6. *სოციალური დანახარჯების ევოლუცია ევროპულ ქვეყნებში.*
წყარო: piketty.pse.ens.fr/ideology

გრაფიკზე ვხედავთ ევროპის ქვეყნების სოციალური დანახარჯების ისტორიულ ზრდას. მთლიან შიდა პროდუქტში წესრიგის, თავდაცვის, ადმინისტრირებისა და სასამართლოს ხარჯები 1910 წლისთვის მშპ-ის 8%-იდან 2010 წლისთვის გაიზარდა მხოლოდ 2%-ით, ხოლო სოციალური დანახარჯები — 2%-იდან — 37%-მდე, რაც დაკავშირებულია კეთილდღეობის სახელმწიფოს ინსტიტუციონალიზებასთან, რამაც შეუქცევადი ხასიათი მისცა სახელმწიფოს გადამანაწილებელ ფუნქციას. **ეს გულისხმობს სახელმწიფოს მიერ არა მხოლოდ საშემოსავლო ჯგუფებს შორის გადანაწილებას, არამედ საშემოსავლო ჯგუფებს შიგნით და ცალკეული ადამიანების გამომუშავებული რესურსების გადანაწილებას მათივე ცხოვრების განმავლობაში (პენსია) სავალდებულო წესით. ანუ, სახელმწიფოს აქვს ლეგიტიმაცია, წარმართოს ადამიანთა შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი.**

რატომ მოხდა ეს? XIX საუკუნის მიწურულიდან ინდუსტრიალიზაციამ და ურბანიზაციამ რადიკალურად შეცვალა საზოგადოების სტრუქტურა. ნათესაობაზე და პატრონიმულ[5] ტრადიციებზე დაფუძნებული სოციალური დაცვის მექანიზმები თანდათან დასუსტდა. ოჯახური კავშირების დასუსტებამ და დემოგრაფიულმა ცვლილებამ გააჩინა საჯარო ხარჯების ზრდაზე მოთხოვნა. ვილენსკის მიხედვით, კეთილდღეობის სახელმწიფოს ჩამოყალიბე-

[5] კაცის მიერ დომინირებული.

ბის მიზეზი ეკონომიკური ზრდით წარმოქმნილი დემოგრაფიული ცვლილებაა, რომელიც სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდასა და მოსახლეობის დაბერებაში გამოიხატა: „თუ არსებობს კეთილდღეობის დანახარჯების ზრდის ყველაზე ძლიერი ერთი უშუალო მიზეზი — ეს მთლიან მოსახლეობაში ხანდაზმულთა წილის ზრდაა“ (Wilensky 1975).



გრაფიკი 7. *დემოგრაფიული ცვლილებები ევროპაში, წყარო: https://databank.worldbank.org/*

როგორც ზედა გამოსახულებაზე ვხედავთ, პოპულაციის საერთო ზრდასთან ერთად გაიზარდა მასში 65+ მოსახლეობის წილი, რაც გულისხმობს, რომ ახლა უკვე ევროპაში ეკონომიკურად აქტიურ სამ ახალგაზრდაზე ერთი საპენსიო ასაკის ადამიანი მოდის.

როგორც გოუგი აღნიშნავს, ერთი მხრივ, დიდი ოჯახების ნუკლეარულ[6] ოჯახებად გარდაქმნამ ინდუსტრიული საქმიანობისთვის იდეალური ტიპის ოჯახი წარმოქმნა, თუმცა, მეორე მხრივ, ახალი სოციალური პრობლემა წარმოიშვა: მზარდ მასებს თავის გადარჩენა მხოლოდ სამუშაო ძალის გაქირავებით შეეძლოთ, შესაბამისად, საცხოვრებელი და სამუშაო სივრცეები განცალკევდნენ, თვითდასაქმებულთა რიცხვი კი დაეცა. ურბანიზაციას ახალგაზრდები მიჰყავს სოფლიდან ქალაქში, რაც ანგრევს დიდ ოჯახებს და მოხუცები იზოლირდებიან (ეს აჩენს საპენსიო სისტემის საჭიროებას), ქალი იხლიჩება დედისა და სამუშაო ძალის როლებს შორის (ეს წარმოქმნის აღზრდის ინსტიტუციების საჭიროებას), ხოლო ახალგაზრდების შრომის ბაზარზე რეალიზება შეუძლებელი ხდება განათლების გარეშე (განათლების ინსტიტუციების დაფინანსება) და ა.შ. (Gough, 1978, p. 31).

ქერის მიხედვით, „ტოტალური ინდუსტრიალიზაციის“ შემდგომ სამუშაო ძალის გა-

[6] ორი თაობისგან, მშობლების და ერთი ან მეტი შვილისგან შემდგარი ოჯახი.

მართული მიწოდება კეთილდღეობის სახელმწიფოს ფორმირების მთავარი მიზეზია. ეს შესაძლებელია განსხვავებულ ქვეყანაში განსხვავებული მექანიზმებით მუშაობდეს. ასევე შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს მუშათა კლასის პროტესტი და ელიტების რეაგირება კეთილდღეობის სერვისების მიწოდების რაგვარობის განსაზღვრაში, თუმცა კეთილდღეობის სახელმწიფოს ფორმირების ძირითადი ამხსნელი კატეგორია მაინც ინდუსტრიალიზაციის გარკვეული საფეხურია (კომერციულიდან — ინდუსტრიულ საზოგადეობაზე გადასვლა), რომელშიც სამუშაო ძალის შენარჩუნებასა და კვლავწარმოებაზე ზრუნვა საბოლოოდ ოჯახიდან სახელმწიფოსა და მენეჯერებზე გადადის (Kerr,1960).

ე.წ. „ძალთა რესურსების თეორია“ (Stephens 1979; Korpi 1980, 1983) ვილენსკის თეორიის საწინააღმდეგოდ ხაზს უსვამს პოლიტიკის გადამწყვეტ მნიშვნელობას. ცენტრალური დაშვება ისაა, რომ პოლიტიკის და ეკონომიკის სფეროები გამოყოფილია და ოპერირებენ სხვადასხვა ლოგიკით და ამის გამოა შესაძლებელი შედარებითი ძალთა ბალანსი კლასებს შორის. ბაზარზე ძალაუფლების წყაროა ეკონომიკური აქტივები, ხოლო პოლიტიკაში — რაოდენობა, ორგანიზება, მობილიზაციური რესურები.

გერჰარდ ლენსკის მიხედვით, დემოკრატიულმა მმართველობამ შექმნა შესაძლებლობა „ბევრისთვის“ გაერთიანდეს „ცოტას“ (ელიტების) წინააღმდეგ და გამოიყენოს სახელმწიფო მთლიანი სოციალური ნაჭარბიდან უფრო დიდი წილის მოსაპოვებლად. ვინაიდან არჩევნები დაკავშირებულია უზარმაზარ თანხებთან, საკუთრების მქონე კლასს გააჩნია უპირატესობა. მუშათა კლასს შეუძლია კონკურენციაში შესვლა რიცხვობრივი უპირატესობის მეშვეობით, მაგრამ ეს მოითხოვს მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმირებას. შესაბამისად, ამ თეორიის მიხედვით, საყოველთაო საარჩევნო უფლებების გავრცელება და კონკურენტული არჩევნები წარმოადგენს აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობას ეკონომიკური რედისტრიბუციისთვის (Myles & Quadagno, 2002, p. 37).

ამ პერსპექტივიდან ფუნქციონალიზმის საწინააღმდეგოდ ანდერსენი და კორპი აღნიშნავენ, რომ კეთილდღეობის პოლტიკები თავდაპირველად იქმნებოდა იმ საზოგადოებებში, საიდანაც მუშათა მოძრაობები მზარდ ძალას იძენდნენ: „პოლიტიკოსები, რომლებიც 1880-იან წლებში სოციალური დაზღვევის პიონერები იყვნენ (გერმანიაში ბისმარკი და ჰაბსბურგების იმპერიაში ედვარდ ტააფე), საკუთარ თავს არ განიხილავდნენ დემოგრაფიულ ცვლილებებზე ან ეროვნული ეკონომიკური ზრდის ფაქტორებზე რეაგირების მომხდენებად, არამედ ისინი ღელავდნენ პარიზის კომუნის გამოცდილებაზე და მათ ცნობიერად გამოიყენეს სახელმწიფოს ძალაუფლება, რათა განევითარებინათ სოციალური პოლიტიკა, როგორც მეორე სტრატეგია გაენადგურებინათ მზარდი ინდუსტრიული მუშათა კლასის ორგანიზაციული ძალა, რომელიც არსებულ საზოგადოებრივ წესრიგს საფრთხეს უქმნიდა. პირველი სტრატეგია რეპრესიული მეთოდები იყო“ (Andersen & Korpi; 1985).

მსგავსი მიდგომის მიხედვით, კეთილდღეობის სახელმწიფო არის დიდი ეკონომიკური პროცესების შედეგი და არა პიროვნულ ფაქტორებზე დამოკიდებული ფენომენი და ამიტომაც, კეთილდღეობის სახელმწიფოს ექსპანსია მმართველი ძალების იდეოლოგიური განსხვავებების მიუხედავად, შეუქცევადია. **სწორედ ამითაა ახსნილი, რომ სახელმწიფოს როლი გაიზარდა არა მხოლოდ ინდუსტრიალიზაციის მქონე სოციალისტურ ქვეყნებში, არამედ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც.**

სოციალურ დანახარჯებთან ერთად ანალოგიურად იზრდება სახელმწიფოს საერთო დანახარჯებიც, რაც, მეორე მხრივ, იხსნება მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირების საჭიროებებით. როგორც გრაფიკზე ვხედავთ, დღესდღეობით ევროკავშირის ქვეყნების მთავრობები საშუალოდ ქვეყნის წლიური ეკონომიკური ნაწარმი ღირებულების დაახლოებით ნახევარს ხარჯავენ.



გრაფიკი 8. *სახელმწიფო დანახარჯების წილი მშპ-ში 2021 წლისთვის*

როგორც, გრაფიკ 8-ზე ვხედავთ საქართველოში სახელმწიფოს მონაწილეობა მინიმალურია და მშპ-თან მიმართებით 2021 წლისთვის 31%-ს შეადგენდა, როდესაც ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი ამავე პერიოდში 51%-ია. ზოგიერთი ქვეყანა ხარჯავს ჩვენზე ცოტა მეტს, ხოლო უმრავლესობა, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ქვეყნები, ბევრად მეტს.[7] დღეს **საქართველო ეკონომიკასთან პროპორციულად ხარჯავს იმდენს, რამდენსაც ევროპული ქვეყნები 60-იან წლებში ხარჯავდნენ.**

[7] ცხრილზე ვხედავთ, რომ ირლანდია ხარჯავს საქართველოზე ნაკლებს, რაც, სინამდვილეში, რეალობას არ ასახავს, რადგან ირლანდია განსაკუთრებული ქვეყანაა, რომელშიც მშპ-სა და ეროვნულ შემოსავალს შორის უდიდესი სხვაობაა, შესაბამისად, თუ გვინდა ირლანდიის სახელმწიფო ხარჯების რეალური შეფარდება გავიგოთ ეკონომიკასთან მიმართებით, ის ეროვნულ შემოსავალს უნდა შევადაროთ და არა მშპ-ს. ამ ორს შორის დიდი სხვაობის გამო ირლანდიის სტატისტიკის სამსახურმა სპეციალურად ირლანდიისთვის შეიმუშავა „მოდიფიცირებული ეროვნული შემოსავლის“ საზომი, რომელიც ითვალისწინებს ირლანდიის რეალურ ეკონომიკურ ზრდას და ოდენობას, რადგან მშპ მას ადეკვატურად ვერ ასახავს.



გრაფიკი 9. *სახელმწიფო დანახარჯები ფუნქციონალურ ჭრილში, 2020 წელი.*
წყარო: (COFOG) Eurostat; www.mof.ge

ევროკავშირის საშუალო ხარჯები 2020 წელს მშპ-ის 50%-ს ასცდა. საქართველოში ანალოგიური მაჩვენებელი 30%-მდეა.[8] ეს და სხვა მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოსა და სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით ბალტიის ქვეყნებისთვის, ევროპა წარმოადგენს უფრო მეტად გეოპოლიტიკურ არჩევანს, ვიდრე მისაბაძ ეკონომიკურ და სოციალურ მოდელს. ამ ქვეყნებში სახელმწიფოს მონაწილეობა სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მინიმალურ დონეზეა დაყვანილი, რაც შეუძლებელს ხდის საბაზრო ეკონომიკაში ევროპული მოდელის რეალურ ადაპტაციას.

როგორ ფინანსდება ხარჯები ევროპაში?

2021 წელს საქართველოში ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებმა მშპ-თან მიმართებით შეადგინა 22.5%. 2021 წელს ევროკავშირის ქვეყნებში (რომლის საშუალოსაც ამცირებს ბალტიის ქვეყნები) საგადასახადო შემოსულობების ანალოგიური მაჩვენებელი 47% იყო. ეს ციფრი შესაძლოა ერთი შეხედვით არაფერს გვეუბნება, მაგრამ სწორედ ამ ფარდობაზეა დამოკიდებული: 1. საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები (მათ შორის მასწავლებლების, ავტობუსის მძღოლების, მეტროს მემანქანეების და ა.შ.). 2. სახე-

[8] აღსანიშნავია, რომ საქართველოს აქამდე კანონის ძალით ჰქონდა აკრძალული ამ ციფრზე მაღალი ხარჯების გაწევა. თუმცა ამ კანონის გაუქმება განხორციელდა მხოლოდ გარე ძალების ჩარევით და არა მთავრობის მიერ პოლიტიკის გააზრებით. კანონში დარჩა პროგრესული გადასახადების დაწესების აკრძალვა, რაც წარმოუდგენელია ევროპაში.

ლმიწფოს მიერ მოწოდებული მომსახურეობების (მათ შორის განათლების, ჯანდაცვის, უსაფრთხოების) ხარისხი, მოცულობა და მოცვა. 3. პენსიების და სხვა სოციალური დახმარებების მოცულობა და ხარისხი. 4. თავად სახელმწიფო ბიუროკრატიის ეფექტურობა და უნარი, სახელმწიფო სექტორში დაასაქმოს ყველაზე კვალიფიკაციური კადრები. ამ ყველაფრის გარეშე ევროპულ მისწრაფებაზე საუბარი ზედმეტია. თუ მკითხველი კარგად დააკვირდება, მიხვდება, რომ ზემოთ ჩამოთვლილ 4 პუნქტში გაუმჯობესება, პირველ რიგში, უმრავლესობის, ანუ ხალხის ინტერესებშია და არა ელიტების

„ხალხი, რომელიც ამბობს, რომ გადასახადები ქურდობაა, მიიჩნევს, რომ მათ ხელთ არსებული სიმდიდრე მათ თავად შექმნეს. გადასახადებზე ასეთი შეხედულება, შესაძლოა მეტ-ნაკლებად სწორი იყოს XVI საუკუნისათვის, როდესაც თითქმის ყველა საარსებო ფერმერობას ეწეოდა. მაგრამ დღეს სიმდიდრის შექმნისთვის მთელი რიგი საჯარო დახმარებაა საჭირო. შენ გჭირდება საკანონმდებლო სისტემა, შენ გჭირდება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კვლევები და მეცნიერება, შენ გჭირდება სახელმწიფო ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, სახელმწიფო ინვესტიციები განთლებაში და მშრომელთა მომზადებაში და სწორედ ამ გარემოებების გამოყენებით ქმნი შენს სიმდიდრეს. გამოდის, რომ ის, რაც შენ შექმენი რეალურად, იმ საერთო ძალისხმევის შედეგია, რომელიც შენს სამეწარმეო უნარ-ჩვევებს ან შრომას მთელი საზოგადოების წვლილთან აერთიანებს" — ჰა ჯუნ ჩანგი.

თანამედროვე საზოგადოებაში გადასახადები არ არის იგივე, რაც ეს იყო მონარქიის და ფეოდალიზმის დროს, როდესაც გადასახადების გადამხდელებს არ შეეძლოთ პოლიტიკური წარმომადგენლობის ყოლა და თავად საგადასახადო და შემდგომ ხარჯვის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა. საგადასახადო პოლიტიკა, გადასახადების და ხარჯვის რაგვარობა წარმოადგენს პოლიტიკური დებატების საკითხს. ყველა წარმომადგენლობითი ორგანოს, პარლამენტების გაჩენა ინგლისში, ამერიკაში, საფრანგეთში, ესპანეთსა და ა.შ., პირდაპირ დაკავშირებული იყო მოსახლეობის მოთხოვნასთან, რომ მათგან აღებული ფულის განკარგვაზე მათაც ჰქონოდათ უფლებამოსილება. და მესამე, გადასახადების ლეგიტიმაცია თანამედროვე საზოგადოებაში გამომდინარეობს იქიდან, რომ ხარჯვის შედეგად მიღებული გადანაწილება ზრდის საერთო კეთილდღეობას, როდესაც ფეოდალურ საზოგადოებაში ის უფრო მეტად იყო დაკავშირებული ელიტების მიერ ფუფუნების საგნების მოხმარების ზრდასთან. თანამედროვეობაში გადასახადები უზრუნველყოფს ისეთ სერვისებზე ხელმისაწვდომობას, რომლებიც ხელმიუწვდომელი იქნებოდა ბევრისთვის, რომ არა სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული კოლექტიური ძალისხმევა.



გრაფიკი 10. *გადასახადების და ტრანსფერების გავლენა სოციალურ უთანასწორობაზე 2014 წ. წყარო: MF, Fiscal Monitor, October 2017.*

როგორც, მეათე გრაფიკზე ვხედავთ, სახელმწიფოს მიერ გადასახადები ამცირებს ეკონომიკურ უთანაბრობას და შემდგომი, ხარჯვა საზოგადოებრივი სიკეთეების მიწოდების სახით (განათლება, სოციალური დახმარებები, ჯანდაცვა და ა.შ.), კიდევ მეტად ათანაბრებს საზოგადოებას. რატომ აქვს გადასახადებს ასეთი ეფექტი? იმიტომ, რომ ევროპაში გადასახადები, ძირითადად, პროგრესულია. იქ, სადაც ასეთი გადასახადები პროპორციულია გადანაწილების მექანიზმები ნაკლებია, თუმცა შემდგომ ხარჯვას შეუძლია ამ უთანაბრობის დაბალანსება.

სამართლიანობის კუთხით, საგადასახადო სისტემებს ორ განსხვავებულ პრინციპზე აგებენ. ეს ორი პრინციპი სხვადასხვა საშემოსავლო ჯგუფებზე გადასახადებს სხვადასხვაგვარად ანაწილებს: ჰორიზონტალური სამართლიანობის პრინციპი მოსახლეობის განსხვავებულ ეკონომიკურ პირობებს არ ითვალისწინებს და აწესებს ერთ საგადასახადო განაკვეთს. ასეთი გადასახადი პროპორციულია და თანაბრად ბეგრავს ეკონომიკურად არათანაბრებს. საშემოსავლო გადასახადის კუთხით, ჩვენთან ეს სისტემა მუშაობს 20%-იანი საშემოსავლო განაკვეთის სახით ყველასთვის. ვერტიკალური სამართლიანობის პრინციპი, ითვალისწინებს მოსახლეობის არათანაბარ ეკონომიკურ პირობებს და, შესაბამისად, სხვადასხვა განაკვეთებით ბეგრავს სხვადასხვა შემოსავალს. ასეთი გადასახადები პროგრესულია, თუ შემოსავალის ზრდასთან ერთად, გაზრდილი შემოსავლის ნაწილზე საგადასახადო განაკვეთიც იზრდება.



სურათი 1. *ევროპის საგადასახადო რუკა. მუქი ლურჯი — პროგრესული გადასახადები. ღია ცისფერი — ბრტყელი გადასახადები.*

ხაზგასასმელია ის, რომ ევროპული საგადასახადო ტრადიციისგან განსხვავდება ყოფილი სოციალისტური ქვეყნების საგადასახადო სისტემები, **რომლებშიც რადიკალური ეკონომიკური ლიბერალიზმი ერთადერთ მოდელად იქნა მიჩნეული და გასაღდა, როგორც „დასავლური არჩევანი“**. ამის საპირისპიროდ, როგორც ხედავთ, თითქმის მთელ ევროპაში საშემოსავლო გადასახადი პროგრესულია, ხოლო პოსტსოციალისტურ ქვეყნებში პროპორციული საგადასახადო განაკვეთებია დადგენილი.

კომუნისტურ მანიფესტში მარქსი ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნად ასახელებდა პროგრესული გადასახადების შემოღებას, თუმცა, როგორც ისტორიამ აჩვენა, ის არა მხოლოდ სოციალისტებმა, არამედ ბურჟუაზიულმა მთავრობებმაც დანერგეს. თეოდორ რუზველტმა 1905 წელს კონგრესს შემდეგი სიტყვებით მიმართა: **„საჭიროა დავამკვიდროთ მემკვიდრეობისა და შემოსავლების საფეხურეობრივი გადასახადი. მდიდრებს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული ვალდებულებები აკისრიათ, რადგან ისინი უბრალოდ სახელმწიფოს არსებობითაც კი განსაკუთრებულ სარგებელს იღებენ“**.



გრაფიკი 11. *საშემოსავლო გადასახადის ზედა ზღვრის განაკვეთები — ისტორიული დინამიკა. წყარო: Piketty, Capital and ideology, HUP 2020.*

როგორც, მეთერთმეტე გრაფიკზე ვხედავთ, XX საუკუნის დასაწყისში პირველი მსოფლიო ომის დროს ყველაზე მაღალ შემოსავლებზე რადიკალურად გაიზარდა საგადასახადო განაკვეთი და მას შემდგომ პერიოდულად მცირდება, თუმცა ისტორიულ მაქსიმუმზე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მშვიდობის პერიოდში მიაღწია. დღესდღეობით მოყვანილ ქვეყნებში ეს ბოლო განაკვეთი 40%-ზე დაბალი არც ერთ მათგანში არაა.

წლები	აშშ	ბრიტანეთი	გერმანია	საფრანგეთი	იაპონია	საშუალო	შვედეთი	იტალია
1900-1932	12%	25%	8%	15%	9%	14%	5%	6%
1932-1980	75%	72%	23%	22%	64%	51%	47%	34%
1980-2018	50%	46%	32%	39%	63%	46%	29%	17%

ცხრილი 1. *ზედა ზღვრული გადასახადი მემკვიდრეობაზე.*
წყარო: piketty.pse.ens.fr/ideology.et

ევროპული ტრადიციაა სპეციალური გადასახადების შემოღება განსაკუთრებულად მდიდარ კლასზე, რომელიც გამოიხატება: ქონების, მემკვიდრეობისა და ფუფუნების

საგნების მოხმარების გადასახადებში. ამ მხრივაც საქართველოს არ გააჩნია არანაირი პოლიტიკა. მეტიც, საქართველოში აკრძალულია პროგრესული გადასახადების შემოღება და შესაძლებელია მხოლოდ არაპირდაპირი რეგრესული გადასახადების ზრდა, რომელიც დაბალ შემოსავლიან მოსახლეობას უფრო მეტად აწვება.



გრაფიკი 12. *პირდაპირი, ირიბი და სოციალური გადასახადების წილი ევროპის ქვეყნებში და საქართველოში. წყარო: European Commission, DG Taxation and Customs Union, Eurostat data Data extracted December 2021 და https://www.mof.ge/*

საქართველოს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში სჭარბობს არაპირდაპირი (რეგრესული) გადასახადი, რომელიც შედგება დამატებითი ღირებულებისა და აქციზის გადასახადებისგან. ეს გადასახადები აისახება საქონლის ფასში და მას პროდუქტის ყიდვის დროს ვიხდით. როგორც წესი, **არაპირდაპირი გადასახადები უფრო მძიმედ დაბალშემოსავლიანებს აწვება, რადგან პროდუქტის ფასში ასახული გადასახადის ფიქსირებული განაკვეთი დაბალშემოსავლიანის შემოსავლის მიმართ პროცენტულად უფრო დიდია, ვიდრე მაღალშემოსავლიანისთვის.** თუ ამას დავუმატებთ გარემოებას, რომლის მიხედვითაც, მთავარი პირდაპირი გადასახადი, ანუ საშემოსავლო გადასახადიც პროპორციულია და ჯამურად 60%-მდე მთლიან საბიუჯეტო შემოსავლებში რეგრესული გადასახადი სჭარბობს, შეგვიძლია მარტივად დავასკვნათ, რომ საქართველოს საგადასახადო სტრუქტურა მთლიანობაში რეგრესულია. ამის საპირისპირო სურათი გვაქვს ევროპაში, სადაც საგადასახადო შემოსავლების დიდი ნაწილი პირდაპირი გადასახადია და ექვემდებარება პროგრესულ საგადასახადო შკალას. არაპირდაპირი გადასახადების უარყოფითი ეფექტი შეიძლება გადაფაროს შემდგომმა ხარჯვამ, თუმცა საქართველოში სოციალური ინსტიტუტების მინიმალური განვითარება ამ ფუნქციას ვერ

კისრულობს. მეორეც, არაპირდაპირი გადასახადების სიჭარბე შეიძლება აიხსნას ეკონომიკური განვითარების დონით და სახელმწიფოს სუსტი შესაძლებლობებით, მაგრამ რეალურად ვიცით, რომ ერთ-ერთი მთავარი მოტივატორი იდეოლოგიაა.

ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ევროპაში გადასახადების დიდი წილი სოციალურ შენატანებს უჭირავს, რომლებიც შეგვიძლია მივიჩნიოთ პირდაპირ გადასახადებად, რამდენადაც მისი დიდი ნაწილი რედისტრიბუციულია. ის გადანაწილებულია დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის და იხარჯება ტრანსფერის სახით სხვა ადამიანზე.

ევროპულ კეთილდღეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ჯანდაცვის სოციალიზაციაა, რაც გულისხმობს, რომ მთლიანი საზოგადოება (სახელმწიფოს მეშვეობით) აფინანსებს მისივე წევრების ჯანმრთელობის ხარჯებს. ევროკავშირის ქვეყნებში სახელმწიფოს დანახარჯები ჯანდაცვაზე მშპ-თან მიმართებით 7.5%-ია, როდესაც საქართველოში ეს მაჩვენებელი იმავე 2019 წელს 2.7%-ს შეადგენდა.



გრაფიკი 13. *ჯანდაცვაზე მიმდინარე დანახარჯების პროცენტული წილი წყაროების მიხედვით. წყარო: მსოფლიო ბანკი.*

როგორც გრაფიკი 13 გვიჩვენებს, საქართველოში სახელმწიფოს მონაწილეობა ჯანდაცვაში მინიმალურია. მაგალითად, თუ ნორვეგიაში ერთ წელიწადში მოქალაქეების მთლიანი ჯანდაცვის ხარჯების 86% სახელმწიფოს მიერაა დახარჯული, საქართველოში ეს მონაცემი მხოლოდ 34%-ია. ამას ხელი შეუწყო საყოველთაო დაზღვევის უნივერსალური სისტემიდან მიზნობრივ სისტემაზე გადასვლამ, რაც არ ყოფილა დასაბუთებული და, სავარაუდოდ, კერძო სექტორისთვის ბაზრის დათმობის საბაბით განხორციელდა.

ევროპული კეთილდღეობის ერთ-ერთ ფუნდამენტს წარმოადგენს ჯანდაცვაზე ხელ-

მისაწვდომობა, რასაც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, დიდი საჯარო და ძლიერი კერძო არამოგებაზე ორიენტირებული ჰოსპიტალური სექტორი. მაგალითად, საფრანგეთში 2011 წლისთვის ჰოსპიტალის საწოლების 66% საჯარო საავადმყოფოებზე მოდიოდა, 17% არაკომერციულ კერძოზე, ხოლო დანარჩენი 17 კომერციულზე. თავად ჰოსპიტალების 40% საჯარო საკუთრებაშია, 34% არაკომერციულ კერძო სექტორს უჭირავს, ხოლო 26% — კომერციულს. ასევე გერმანიაში სახელმწიფო და არაკომერციული ჰოსპიტლების ჯამური წილი ჰოსპიტლებში 66%-ია, ხოლო საწოლების რაოდენობაში 48% — საჯაროს, 32% — არამომგებიანს, ხოლო დანარჩენი — კერძოს უკავია. საქართველოში სახელმწიფოს ჰოსპიტალური სექტორის წილი მინიმალურია და სხვადასხვა გამოთვლებით 8%-იდან 15%-მდე მერყეობს (თანაც ეს საავადმყოფოები შეზღუდული პროფილისაა), ხოლო მთლიანი საწოლების წილი — 5%-ია. ჯანდაცვის სექტორის ასეთი მონაცემები გვაჩვენებს შემდეგს: ევროპაში ჯანდაცვა წარმოადგენს სოციალური უფლებების ნაწილს, როდესაც საქართველოში ის საბაზრო საქონლადაა ქცეული და მისი მიზანი არა საზოგადეობრივი ჯანმრთელობის, არამედ მოგების მაქსიმიზაციაა.



გრაფიკი 14. *დასაქმებულთა წილი, რომელთაც გააჩნიათ რაიმე ტიპის წარმომადგენლობა ფირმების მართვაში. წყარო: OECD (2019), Negotiating Our Way Up: Collective Bargaining in a Changing World of Work, OECD Publishing, Paris, https://doi.org/10.1787/1fd2da34-en*

ევროპის კეთილდღეობის მოდელისთვის ასევე მნიშვნელოვანია პროფესიული კავშირების და კოლექტიური მოლაპარაკებების როლი. სახელფასო პოლიტიკა ძირითადად კოლექტიური მოლაპარაკების საგანია, რაც ხშირად მოიაზარებს სახელმწიფოს, დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ჩართულობას სახელმწიფო ორგანოების დო-

ნეზე. თანამედროვეობაში ამასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანი ხდება თავად დასაქმებულების ჩართულობა კომპანიების მმართველობაში, ანუ ეკონომიკური დემოკრატიის საკითხი.

როგორც გრაფიკ 14-ზე ვხედავთ, ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია განსაკუთრებით ნორდიკულ ქვეყნებში. ყველაზე სუსტი კი დემოკრატიის ეს ფორმა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებშია. გამონაკლისს სლოვანია წარმოადგენს, სადაც შენარჩუნდა საწარმოთა თვითმმართველობის ფორმები.



გრაფიკი 15. *ეკონომიკური უთანასწორობა სახელმწიფოს ჩარევამდე და მის შემდგომ. წყარო: ILO calculations based on Luxembourg Income Study (LIS) database (http://www.lisdatacenter.org), multiple countries, 2005–18.*

როგორც, გრაფიკზე ვხედავთ, ფინეთისა და საქართველოს უთანასწორობა სახელმწიფოს ჩარევამდე დაახლოებით იგივეა (0.49 და 0.48), თუმცა იმის გამო, რომ ფინეთში სახელმწიფო აგროვებს ბევრ გადასახადს და ხარჯავს ეფექტურად სოციალური და განვითარების მიზნების გათვალისწინებით, უთანასწორობის ეს მაჩვენებელი საბოლოოდ საქართველოში 0.39-მდე მცირდება, ხოლო ფინეთში 0.26-მდე.

კარგი და სამართლიანი საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი შეფასების კრიტერიუმია ახალი თაობათა ვერტიკალურ მობილობაზე დაკვირვება, ანუ რამდენად შესაძლებელია მიუხედავად იმისა, სოფელში დაიბადები თუ ქალაქში, მდიდარ ოჯახში თუ ღარიბში, ქალად თუ კაცად და ა.შ., სხვების თანასწორად მიაღწიო ცხოვრებისეულ მიზნებს.



გრაფიკი 16. *ეკონომიკური მობილობა.*
წყაროები: Corak 2016 და IMF-ის პერსონალის გამოთვლები.[9]

ვერტიკალური ღერძი გვიჩვენებს, თუ რამდენად განსაზღვრავს მშობლების შემოსავლები შვილების მომავალ შემოსავლებს. რაც უფრო მაღლაა ქვეყანა, უფრო მეტია შანსი, რომ ღარიბი მშობლების შვილები ღარიბებად დარჩებიან, ხოლო მდიდრების — მდიდრებად. ჰორიზონტალური ღერძი გვაჩვენებს დღევანდელ არსებულ ეკონომიკურ უთანასწორობას — რაც უფრო მარჯვნივაა ქვეყანა, მით უფრო უთანასწოროა ის.

როგორც გრაფიკზე ხედავთ, ახალ თაობათა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება უფრო მეტადაა შესაძლებელი იქ, სადაც უთანასწორობა ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ ლიდერობენ სკანდინავიის ქვეყნები, სადაც სახელმწიფოს მიერ გარანტირებულია განათლებისა და სოციალური მომსახურების უნივერსალური და თანაბარი ხარისხი ყველა მოქალაქისთვის, შესაბამისად, ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა უფრო ნაკლებ გავლენას ახდენს მომავალი თაობების წარმატებაზე, რაც გულისხმობს, რომ საზოგადოებაში სასტარტო პირობები მეტად თანაბარია. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სოციალურ სიკეთეებზე ხარჯვის რაოდენობა, არამედ პრინციპები, რომლებიც ამ ხარჯვის ხასიათს განსაზღვრავს. მაგალითად, ცნობილია, რომ ფინეთის სახელმწიფო სკოლები მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა და ის თანაბარი დონის განათლებას იძლევა ყველა რეგიონში, მიუხედავად შემოსავლებისა. ამის საპირისპიროდ საქართველოში

[9] შენიშვნა: ჯინის კოეფიციენტები 2015 წლის ან ბოლო ხელმისაწვდომი წლიდან. თაობათაშორისი შემოსავლის ელასტიურობა განისაზღვრება, როგორც ბავშვის თაობის შემოსავლის პროცენტული ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია მშობლის თაობის პროცენტულ ცვლილებასთან. გრაფიკში მოცემული მონაცემების ეტიკეტები იყენებს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) ქვეყნის კოდებს.

საჯარო სკოლების ხარისხი რეგიონების მიხედვით განსხვავდება და ასევე სხვაობაა საჯარო და კერძო სკოლებს შორის, რაც სოციალური დიფერენციაციას ამყარებს.

ზემოთ გრაფიკში მოყვანილი მონაცემები საქართველოსთვის არ არსებობს, თუმცა დიდი დაფიქრება არ სჭირდება იმას, რომ ჩვენი ქვეყანა ადგილს მონახავდა მარჯვენა ზედა კუთხეში. ღარიბი ოჯახების ბავშვები უფრო იშვიათად იღებენ სკოლამდელ ან დაწყებით განათლებას. უღარიბესი კვინტილის 15-18 წლის ბავშვებში სკოლაში დასწრების მაჩვენებელი თითქმის 81%-ია, ხოლო უმდიდრესი კვინტილის იმავე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებში — 98%. განსხვავება კიდევ უფრო აშკარა ხდება 18 წლის ასაკის შემდეგ, როდესაც ღარიბი ოჯახების ბავშვები საგანმანათლებლო დაწესებულებებს ტოვებენ. სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებში სწავლას აგრძელებს უღარიბესი კვინტილის 20 წლის ბავშვების თითქმის 5% და უმდიდრესი კვინტილის (20%) ბავშვების 77%.[10]

განათლება, მეცნიერება, კვლევა და განვითარება

განათლება დიდი ხნის განმავლობაში არ განიხილებოდა სოციალური პოლიტიკისა და ევროპული კეთილდღეობის სახელმწიფოს აუცილებელ ელემენტად. მიზეზი ისაა, რომ განათლებაში ინვესტიციებს უთანასწორობის დაძლევაზე პირდაპირი და მყისიერი ეფექტი ნაკლებად აქვს, ვიდრე, მაგალითად, ჯანდაცვასა ან უმუშევრობის დახმარებაზე გაწეული ხარჯების შემთხვევაში. განათლება უფრო ადამიანის განვითარების უფლების ქვეშ მოიაზრებოდა, თუმცა ეს ყველა ქვეყნისთვის ასე არაა. სკანდინავიურ ქვეყნებში ის ყოველთვის იყო აქტიური სახელმწიფო პასუხისმგებლობის ქვეშ. მიუხედავად ამისა, **ევროპული კეთილდღეობის სახელმწიფოს წარმმართველი როლი, რომელ ქვეყანაზეც არ უნდა ვისაუბროთ, გამოიხატა განათლების მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში, მიუხედავად ოჯახის შემოსავლებისა ან წარმომავლობისა.** იმ ქვეყნებში, სადაც მთლიანობაში სოციალურ პოლიტიკებზე ბევრს ხარჯავენ, ასევე ბევრს ხარჯავენ განათლებაზეც. განათლება, როგორც ევროპული სახელმწიფოების განვითარების პოლიტიკის ნაწილი, უფრო მეტად შრომის ბაზრის კუთხით განვითარდა ინდუსტრიალიზაციასთან ერთად.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპის რეკონსტრუქციის პროცესში აუცილებელი შეიქნა კვალიფიციური კადრების გაზრდა. დასაქმებულების გადამზადება და ხარისხის ამაღლება კეთილდღეობის სახელმწიფოს გრძელვადიანი განვითარების ნაწილად იქცა, რაც სასარგებლოა როგორც ეკონომიკისა, ისე დასაქმებულების კვალი-

[10] იხ.: June, 2018 UNICEF, https://www.unicef.org/georgia/media/1051/file/WMS.pdf

ფიკაციისა და, შესაბამისად, შემოსავლების/კეთილდღეობის ზრდასთვის. ამ პროცესის შედეგად ევროპაში ეკონომიკასა და განათლებას შორის დღემდე მჭიდრო კავშირია.

იგივე შეგვიძლია ვთქვათ ევროპულ გამოცდილებაზე მეცნიერებასთან მიმართებაში. ამ მხრივ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა აბსოლუტურ აცდენაშია ევროპულ პოლიტიკასთან.



გრაფიკი 17. *კვლევასა და განვითარებაზე (R&D) გაწეული საერთო ხარჯების წილი მშპ-თან. წყარო: http://data.uis.unesco.org/*

საქართველოსა და ევროპულ ქვეყნებს შორის მეცნიერების დაფინანსებაში, უზარმაზარი განსხვავების გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია განსხვავებები მეცნიერების (ყველაზე ფართო გაგებით) მართვასა და პოლიტიკაში. საქართველოსგან განსხვავებით, სადაც ეკონომიკა, ინოვაციები, საზოგადოება და მეცნიერება პრაქტიკულად მოწყვეტილია ერთმანეთისაგან და ბიზნეს აქტორები არ სარგებლობენ ადგილობრივი სამეცნიერო ცოდნით და მიღწევებით, ევროკავშირის ქვეყნებში მეცნიერების და ინოვაციის სისტემებში მეტი შრეებია, სტრუქტურა უფრო ქსელურია საკუთარი დამხმარე რგოლებით. ასეთ სისტემაში მეტი კოორდინირება და თანამშრომლობაა, დაინტერესებული ორგანიზაციების, ბიზნესის და მეცნიერების წარმომადგენელთა შორის უწყვეტი დიალოგისა და ურთიერთდახმარების მეშვეობით.

ევროკავშირის დონეზე ამგვარი პოლიტიკა ლისაბონის პროცესის ეგიდით წარიმართა, რომელიც ევროპულ ქვეყნებს შორის ტექნოლოგიებსა და მეცნიერებაზე თანამშრმოლობას, მეცნიერებაზე მთლიან დანახარჯში ბიზნეს სექტორის მხრიდან წილის 2/3-მდე ზრდასა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებას გულისხმობს.

გარდა ამისა, ევროპის განვითარებული ქვეყნები უკვე ათწლეულებია თავად აწარმოებენ ეკონომიკურ აქტორებსა და სამეცნიერო კორპუს შორის კოორდინაციის პოლიტიკას.

საქართველოში მეცნიერებაზე გაწეულ ისედაც მიზერულ თანხებში კერძო სექტორის მონაწილეობა პრაქტიკულად არ მოიძებნება. ასეთი შეიძლება იყოს კომპანიების მიერ საკუთარი კვლევითი ცენტრების შექმნა ან არსებული სამეცნიერო სფეროს გამოყენება ეკონომიკური საქმიანობის ოპტიმიზაციის, ხარისხის ამაღლებისა და უკეთესი პროგნოზირება-დაგეგვმისთვის.

საინტერესოა ავსტრიის ფედერაციის გამოცდილება. კვლევითი და საგანმანათლებლო ცენტრების, სახელისუფლებო შტოების და ბიზნეს სექტორის საკოორდინირებლად არსებობს კვლევისა და ტექნოლოგიის განვითარების საბჭო. მასში შედიან ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების, ეკონომიკისა და შრომის, განათლების, მეცნიერების და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები. ინოვაციების განვითარებაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა არა ერთ რომელიმე სამინისტროზე, არამედ სამ შტოზე მოდის. ესენია:

- განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტრო, რომელიც მართავს უმაღლეს განათლებას და კვლევით ცენტრებს;
- ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია არასაუნივერსიტეტო კვლევების ორგანიზებაზე;
- ეკონომიკისა და შრომის სამინისტრო, რომელიც მხარს უჭერს მცირე და საშუალო საწარმოთა ინოვაციურობისთვის აუცილებელი ცოდნისა და ინფრასტრუქტურის მობილიზებას.

კვლევების დაფინანსების ყველაზე დიდი ნაწილი, 43% მოდის მრეწველობის სექტორზე, 30 კი, სახელმწიფოზე.

ფინეთის კვლევების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკას 4-დონიანი სისტემა განსაზღვრავს. ესენია:

- პარლამენტი და მთავრობა საკონსულტაციო ორგანოს — მეცნიერებისა და ტექნოლოგიის პოლიტიკის საბჭოს მეშვეობით ახორციელებს პოლიტიკას;
- განათლების სამინისტრო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროსთან ერთად მართავს კვლევასთან დაკავშირებულ პოლიტიკას;
- კვლევების დამფინანსებელი ორგანოები — ფინეთის აკადემია და ფინეთის ტექნოლოგიებისა და ინოვაციათა საფინანსო სააგენტო;
- მეოთხე დონეზე კი, უშუალო განმახორციელებლები — უნივერსიტეტები, სახელმწიფო და კერძო კვლევითი ცენტრები, ბიზნეს საწარმოებია.

ფინეთში კვლევითი საქმიანობის 70%-ს აფინანსებს ბიზნეს-საწარმოები. ცალკეულ სტრუქტურებად ჩამოყალიბების მაგივრად კერძო სექტორი სახელმწიფო კვლევით სისტემაში სრულად არის ჩართული. ხელშეწყობილია ბიზნესსამრეწველო კომპლექსებიდან უნივერსიტეტების დაფინანსება და სამეცნიერო მიღწევების კომერციული მიზნით ბიზნეს საქმიანობაში გამოყენება. ასეთი თანამშრომლობის კარგი მაგალითია მობილური ტელეფონების პიონერ ნოკიას წარმატება და სხვა. მძლავრია კოორდინაცია უნივერსიტეტებს, პროფესორებსა და მკვლევრებს შორის. ხოლო მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტრო მეორე ადგილზეა კვლევითი საქმიანობის დაფინანსებით, რაც კარგად წარმოაჩენს, რამდენად პრიორიტეტულად ესახებათ ფინეთში ეკონომიკის სექტორსა და მეცნიერებას შორის ურთიერთსასარგებლო კავშირი.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიის პოლიტიკის საბჭო ფინეთში

საბჭოს მეთაურობს პრემიერმინისტრი. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამინისტროებს შორის კოორდინაციასა და სახელმწიფო პოლიტიკის უწყვეტობაში ხელისუფლების ცვლილების შემთხვევაში. საბჭო მჭიდრო თანამშრომლობაშია ეკონომიკის, მრეწველობის, შრომის, გარემოს დაცვისა თუ რეგიონული მართვის სექტორებთან. ოთხ სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად საბჭოში შედის კიდევ ათი წევრი. მათ შორის ფინეთის აკადემიის, ტექნოლოგიების სააგენტოს, უნივერსიტეტების, მრეწველობის, დასაქმებულებისა და დამსაქმებლების ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოს წევრები ინიშნებიან საპარლამენტო ვადით.

განათლებას, მეცნიერებასა და ინოვაციებში ასეთი კოორდინირებული და აქტიური პოლიტიკის შედეგად ევროპული სახელმწიფოები აწარმოებენ ე.წ. „დეველოპმენტალისტურ განვითარებას“, როგორც სოციალური ცხოვრების, ისე ეკონომიკის მიმართულებით.

ევროპა, ეკონომიკა და სახელმწიფო

დღეს ჩვენთან მცდარადაა მიჩნეული, თითქოს, ევროპული განვითარება ეყრდნობა მხოლოდ თავისუფალი ვაჭრობისა და სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ჩაურევლობის პოლიტიკას. სინამდვილეში, ევროპაში სახელმწიფოს მიერ ინდუსტრიალიზაციისა და განვითარების აქტიური პოლიტიკის გატარება ისტორიული ფაქტია.

როგორც ცხრილ 2-ზე ვხედავთ, თითქმის ყოველ წელს მდიდარი ქვეყანა მიმართა-

ვდა სავაჭრო პროტექციას ადგილობრივი წარმოების განვითარების მიზნით. ევროპული განვითარება აჩვენებს, რომ თავისუფალი ვაჭრობა იყო ინსტრუმენტი და არა თვითმიზანი, თუმცა ხშირად ის ინდუსტრიული განვითარების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა.

ცხრილი 2. მდიდარი ქვეყნების საშუალო სატარიფო განაკვეთები ინდუსტრიულ პროდუქციაზე განვითარების ადრეულ პერიოდში.

(საშუალო შეწონილი; ღირებულების პროცენტებში)[1]

	1820[2]	1875[2]	1913	1925	1931	1950
ავსტრია[3]	R	15–20	18	16	24	18
ბელგია[4]	6–8	9–10	9	15	14	11
დანია	25–35	15–20	14	10	n.a.	3
საფრანგეთი	R	12–15	20	21	30	18
გერმანია[5]	8–12	4–6	13	20	21	26
იტალია	n.a.	8–10	18	22	46	25
იაპონია[6]	R	5	30	n.a.	n.a.	n.a.
ნიდერლანდები[4]	6–8	3–5	4	6	n.a.	11
რუსეთი	R	15–20	84	R	R	R
ესპანეთი	R	15–20	41	41	63	n.a.
შვედეთი	R	3–5	20	16	21	9
შვეიცარია	8–12	4–6	9	14	19	n.a.
ბრიტანეთი	45–55	0	0	5	n.a.	23
აშშ	35–45	40–50	44	37	48	14

წყარო: Bairoch (1993), გვ. 40, ცხრილი 3.3.

შენიშვნები:

R= არსებობდა ბევრნაირი და მნიშვნელოვანი შეზღუდვები მანუფაქტურულ იმპორტზე და, შესაბამისად, სატარიფო განაკვეთებს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა.

1. მსოფლიო ბანკსაც (1991, გვ. 97, ცხრილი 5.2) აქვს წარმოდგენილი დაახლოებით მსგავსი ცხრილი, რომელიც ნაწილობრივ ეყრდნობა ბარიოხს. მიუხედავად იმისა, რომ მათი მონაცემები მეტწილად ემთხვევა ბაიროხის მონაცემებს, ისინი იყენებენ არაშეწონილ განაკვეთებს, რაც ნაკლებად სწორია.

2. სავარაუდო მონაცემები აღწერს საშუალო მაჩვენებლების დიაპაზონს და არა უკიდურესობებს.

3. 1925 წლამდე ავსტრია-უნგრეთი.

4. 1820 წლამდე ბელგია და ნიდერლანდები გაერთიანებულები იყვნენ.

5. 1820 წლის მონაცემები მხოლოდ პრუსიას გულისხმობს.

6. ევროპის ქვეყნებთან და აშშ-თან „უთანასწორო შეთანხმებების“ შედეგად 1911 წლამდე იაპონია იძულებული იყო დაბალი ტარიფები (5%-მდე) ჰქონოდა. ზემოთ ნახსენები მსოფლიო ბანკის ცხრილი იძლევა იაპონიის არაშეწონილ სატარიფო განაკვეთებს ყველანაირ (არა მხოლოდ მრეწველობის) პროდუქტზე შემდგომ წლებში: 1925 — 13%, 1930 — 19%, 1950 — 40%.

როგორც ევროპული და შემდგომ აზიური გამოცდილება გვიჩვენებს, პროტექციონიზმი მუშაობს მხოლოდ იმ დროს, როდესაც პარალელურ მოქმედებაშია ინდუსტრიალიზაციის კომპლექსური პოლიტიკა. **აუცილებელია დაცული წარმოებების ეფექტიანობის მუდმივი კონტროლი და თამაშიდან გამოთიშვის მექანიზმების დანერგვა, რათა საწარმოები მუდმივად ვითარდებოდნენ და მათთვის პროტექციონიზმი, ანუ შედარებით დაცული გასაღების ბაზარი, არ იქცეს გარანტირებული, მარტივი მოგების მიღების საშუალებად.** მაგალითად, აღმოსავლეთ აზიის მდიდარი ქვეყნები, როდესაც განვითარების საწყის ეტაპებზე განსაკუთრებულად იცავდნენ საკუთარ წარმოებებს, მესაკუთრეებს უყენებდნენ პირობებს (როგორც წესი, ესენი დაკავშირებული იყო საერთაშორისო კონკურენტულობის მიღწევასთან), რომლის ვერშესრულების შემთხვევაშიც მათი პროტექცია, ფინანსებით მომარაგება და სხვა ტიპის დახმარებები წყდებოდა. სახელმწიფოს მიერ ასეთმა დამოკიდებულებამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ამ საწარმოების განვითარებასა და საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრებაში. პასუხისმგებლიანი მთავრობა ნიშნავს არა იმას, რომ უბრალოდ დაეხმაროს ადგილობრივ წარმოებას (მხოლოდ ამით ის ბიზნესის უბრალო კლიენტად და მეწველ ძროხად იქცევა), არამედ იმას, რომ ის პასუხისმგებლობას იღებდეს ეკონომიკისა და ფირმების მუდმივ განვითარებასა და ტექნოლოგიურ პროგრესზე. უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი, რასაც ევროპული გამოცდილება გვასწავლის, შემდეგია: **რაც უფრო ჩამორჩენილია ქვეყანა, მით უფრო მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი ეკონომიკურ განვითარებაში.**

განვითარების პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ევროპა ისტორიულად ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპებით ხასიათდება. ამ პერიოდში სახელმწიფოს როლი განსაკუთრებით გაიზარდა. ჩვენთვის ევროპის ისტორიის ეს პერიოდი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საქართველოს პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია ეკონომიკის შემცირების კუთხით ძალიან ჰგავს ომის შემდგომი ქვეყნების მდგომარეობას (რა თქმა უნდა, ომი მიმდინარეობდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, თუმცა მათ ჰქონდათ ლოკალიზებული ფორმა და გადამწყვეტი როლი ეკონომიკის ასეთ დაცემაზე არ უთამაშიათ). როდესაც ეკონომიკა განიცდის დიდ დაცემას, სახელმწიფოს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება. სწორედ ამიტომ ომის შემდგომ ევროპაში რადიკალურად იზრდება სახელმწიფოს როლი.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ამერიკის მიერ დაფინანსებული „მარშალის გეგმა“ იყო არა უბრალოდ ფულადი ტრანსფერი, არამედ ევროპის რეინდუსტრიალიზაციის გეგმა. ამის საპირისპიროდ 90-იან და 2000-იან წლებში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, გატარდა პოლიტიკები, რომლებმაც ხელი შეუწყო დეინდუსტრიალიზაციას.



გრაფიკი 18. *მშპ-ის რეალური ზრდა ევროპის ქვეყნებისთვის: ავსტრია, ბელგია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვედეთი, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი. წყარო: Maddison (1991); OECD (1993).*

მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში მასიური მობილიზაციისა და კოორდინაციის საჭიროებამ სახელმწიფოს გაფართოებას ლეგიტიმაცია მისცა. ამ პერიოდში იწყება მასიური საჯარო ინვესტიციების ხანა განათლებაში, წარმოებაში, კვლევასა და განვითარებაში. თანდათანობით აღიარეს სახელმწიფოს, როგორც ინვესტორის ფუნქცია და მაკროეკონომიკურ პოლიტიკასთან ერთად გააქტიურდა პროაქტიური ინდუსტრიული პოლიტიკის პრაქტიკაც. სახელმწიფო კრიტიკულ პერიოდებში წარმოდგებოდა როგორც საერთო ინტერესების გამტარი. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ სახელმწიფო ინტერვენციები უფრო შორსაც მიდიოდა — სახელმწიფო ევროპაში დიდ დამსაქმებლად იქცა. ფართოდ გავრცელდა ნაწილობრივი ნაციონალიზაციის[11] პროგრამები, რომელთა მიზანი იყო არა საბაზრო ეკონომიკის განადგურება, არამედ სახელმწიფოს წარმმართველი როლის გაძლიერება ტექნოლოგიური და სტრუქტურული მოდერნიზაციის პროცესში.

ბრიტანეთში 1945 წელს გამარჯვებული ლეიბორისტული მთავრობა მასიური ნაციო-

[11] კერძო საკუთრების სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლა.

ნალიზაციის პროგრამას იწყებს. საფრანგეთში საჯარო ინვესტიციები განვითარებულ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი იყო და მთლიან ინვესტიციებში მისი წილი 1945 წლისთვის 52%-ს შეადგენდა, 1949 წლისთვის — 64%-ამდე გაიზარდა, 1950-იანი წლებიდან კი ის 39%-ზე ჩამოვიდა (დალტონი, 1974). ამასთან ერთად ხდება ჯანდაცვის სექტორის სოციალიზაცია, ფუძნდება დღემდე ბრიტანელებისათვის საამაყო NHS-ის სახელმწიფო პროგრამა.

დასავლეთევროპული ქვეყნები აქტიურ სოციალურ და ეკონომიკურ პროგრამებს ატარებდნენ და იღებდნენ რიგ რეგულაციებს საბინაო, სატრანსპორტო, საბანკო, სადაზღვევო და სასოფლო-სამეურნეო სფეროებში. მაგალითად, გერმანელებმა 1950 წელს ჩაუშვეს 1.8 მილიონი ბინის ექვსწლიანი მშენებლობის გეგმა; კერძო სექტორმა 1949 წლიდან 1957 წლამდე სახელმწიფოსგან 40 მილიარდი მარკის დახმარება მიიღო. 1967 წელს კი მიღეეს სტაბილიზაციის აქტი, რომელიც ხაზს უსვამდა დაგეგმარებისა და საჯარო ინვესტიციების აჩქარების საჭიროებას. ეკონომიკის მინისტრმა კარლ შილერმა სპეციალური საინვესტიციო ბიუჯეტი შექმნა, რომლიდანაც 2.5 მილიარდი მარკა გამოიყო ეკონომიკის სტიმულირებისთვის. 1946 წელს ავსტრიის პარლამენტმა ნაციონალიზაციის პირველი აქტი გამოსცა, რომლის მიხედვითაც მთლიანი საინჟინრო და ნავთობგადამამუშავებელი სექტორი, სამი ყველაზე დიდი ბანკი და გერმანიის მხარის ელექტროწარმოება მთლიანად სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა. ინდუსტრიული გამოშვების დაახლოებით 22% იმ სახელმწიფო საწარმოებზე მოდიოდა, რომლებიც ნაციონალიზებულ ბანკებს ექვემდებარებოდნენ. 1950 წლისთვის ამ მაჩვენებელმა 70%-ს მიაღწია (GRÜNWALD, 1980). ფინეთში სახელმწიფო სექტორი ერთ-ერთი ყველაზე დიდი იყო და დასაქმებულთა 34%-ს ასაქმებდა. 1965 წლისთვის ის საბაზრო პროდუქტის ერთ მეოთხედს აწარმოებდა; ბელგიაში 80-იანი წლებისთვის სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებული სამუშაო ძალის 7%-ზე მეტი იყო; (Fischer, 1978).

საფრანგეთი, როგორც ყველაზე მკვეთრი მაგალითი

მეორე მსოფლიო ომის მიწურულს საფრანგეთის ეკონომიკას ესაჭიროებოდა მასიური განახლება და სტრუქტურული ტრანსფორმაცია. ყველა საუბრობდა იმაზე, რომ საფრანგეთი ეკონომიკური სტაგნაციისთვის იყო განწირული. ეს შეხედულება ფართოდ იყო გაზიარებული და, როგორც წესი, ახსნილი იყო ფრანგი ხალხის კულტურული მახასიათებლებითა და არა ეკონომიკური ფაქტორებით. ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ ფრანგების ხასიათი ვერ შეეგუებოდა ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებებს, რაც საფრანგეთისთვის ძლიერ საჭირო და სწრაფი ეკონომიკური ზრდისთვის

აუცილებელი წინაპირობა იყო (A. William 2014). მიუხედავად პესიმისტური პროგნოზებისა, განვითარებული ქვეყნების სიიდან მხოლოდ იაპონია გაიზარდა საფრანგეთზე სწრაფად. 1945 წლიდან 1975 წლამდე საფრანგეთის ეკონომიკა საშუალო 5%-იან ზრდას განიცდიდა, რაც განვითარებული ქვეყნებისთვის, მით უმეტეს ასეთ ხანგრძლივ პერიოდში, რთულად წარმოსადგენია. 1950 წელს საფრანგეთის ცხოვრების დონე 23%-ით ჩამორჩებოდა ბრიტანეთში არსებულ ცხოვრების დონეს (მშპ-ის ერთ სულ მოსახლეზე საზომით), როდესაც 1975 წელს ის უკვე 22%-ით აღემატებოდა მას. ერთ თაობაში ასეთი დიდი ცვლილება მდიდარი ქვეყნისთვის ძალზე იშვიათი შემთხვევაა (C. Grabas, A. Nützenadel 2008).

სხვადასხვა კვლევების მიხედვით, საშუალო ფრანგი მუშის რეალური მსყიდველუნარიანობა 1950-1970 წლებში 170%-ით გაიზარდა (John Ardagh, 1979). ეს კი სწორედ იმის შედეგი იყო, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე შარლ დეგოლის მთავრობამ კომუნისტური და სოციალისტური პარტიის მონაწილეობით დაიწყო ნაციონალიზაციის ფართო კამპანია. ასეთი პოლიტიკა აიხსნებოდა თავად დეგოლის ეტატისტური[12] და დირიჟისტული[13] შეხედულებებით, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალისტების და კომუნისტების აქტიური მონაწილეობით.

1985 წლისთვის ფირმების მთლიან ფიქსირებულ აქტივებში 53% საჯარო ფირმების საკუთრებაში აღირიცხებოდა, რომელიც ასაქმებდა ეროვნული სამუშაო ძალის მეოთხედს.

1946 წელს საფრანგეთში ჟან მონეს ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ცენტრალური დაგეგმარების სააგენტო (CGP). სააგენტოს საქმიანობა ძირითადად ორი ნაწილისგან შედგებოდა: პირველი იყო დაგეგმარება, როგორც პროგნოზირების სისტემა, ხოლო მეორე ნაწილი მოიცავდა გეგმის ინსტიტუციონალიზებას, გავლენების მოხდენასა და მოქმედებას. ეკონომიკური პროგნოზირება ეყრდნობოდა შენატანებისა და პროდუქტის (input-output) ანალიზს, ხოლო გეგმა გულისხმობდა შრომის, მატერიალური ბაზის და კაპიტალური რესურსების უკეთეს განაწილებას. პირველი ოთხწლიანი გეგმა კონცენტირებული იყო შვიდ ძირითად სექტორზე: ქვანახშირი, ცემენტი, ელექტროენერგია, ტრანსპორტი, ფერტილიზაცია, აგრომეურნეობა და ნავთობგადამუშავება. საბოლოო გეგმას განიხილავდა კომისია, რომელიც პირდაპირ ემორჩილებოდა პრემიერმინისტრს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად. რამდენადაც მიზნები სავალდებულო არ იყო, მათი განხორციელებისთვის გამოიყენებოდა სახელმწიფო ფინანსები, პოზიტიური დისკრიმინაციის მეთოდი, სუბსიდიები, კრედიტები და სახელმწიფო გარანტიები.

[12] სახელმწიფოს დიდი როლი.

[13] სახელმწიფო გახდა ეკონომიკური განვითარების მაკოორდინირებელ-დამგეგმავი კერძო სექტორთან ერთად.

მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიციების დიდი ნაწილი კერძო იყო, მასზე დიდ გავლენას და კონტროლს ახდენდა სახელმწიფო. აქტიურ ინდუსტრიულ პოლიტიკასთან ერთად, სახელმწიფომ ასევე კონტროლი განახორციელა კრედიტის მიწოდებაზე, ერთი მხრივ, ბანკების ნაციონალიზაციით, ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა ტიპის რეგულაციების, მიზნებისა და შეზღუდვების დაწესებით კერძო ბანკებსა თუ საკრედიტო ორგანიზაციებზე. ეს გადამწყვეტი ფაქტორი იყო განვითარებაში, თუმცა მნიშვნელოვანია არა უბრალოდ კრედიტებზე ხელმისაწვდომობა, არამედ სახელმწიფოს მიერ რეგულირება, რაც კრედიტების გადანაწილებას ახდენს სასურველ სექტორებზე. ამას ხელი შეუწყო პოლიტიკურმა კონსენსუსმა, ერთი მხრივ, მასიური ინვესტიციების აუცილებლობისა და, მეორე მხრივ, კრედიტის ნაციონალიზაციის თაობაზე. 1945 წელს ოთხი მთავარი კომერციული და ცენტრალური ბანკის ნაციონალიზაცია მოხდა. ნაციონალიზაცია გულისხმობდა, რომ სახელმწიფოს უნდა მოეხდინა საჯარო, კერძო და ზედამხედველობითი ინსტიტუციების ქსელის ისეთი ორგანიზება, რომელიც მოახდენდა ეროვნული ეკონომიკისა და სოციალური პრიორიტეტების დაკრედიტების გარანტირებას (Monnet, 2012).

მასიურ სახელმწიფო ინვესტიციებთან, ფინანსების მობილიზაციასა და სახელმწიფო სექტორის გაძლიერებასთან ერთად დაგეგმარების პოლიტიკამ მთავარი როლი ითამაშა საფრანგეთის მოდერნიზაციაში. პირველი ოთხწლიანი გეგმა დიდი წარმატებით შესრულდა და დასახული რაოდენობის ქვანახშირის, ელექტროენერგიის, ცემენტის და რკინა-მეტალის წარმოების დონეს მიაღწია. საფრანგეთში დაიწყო ენერგოსექტორის რადიკალური განახლება. ასევე მანქანების ექსპორტი მთლიანი გამოშვების 26%-იდან დან 46%-ამდე გაიზარდა. მონეს პირველ ხუთწლიან გეგმას მიჰყვა ჰირშის გეგმა 1954-1957 წლებში, რომელმაც წარმოების სექტორთან ერთად აგრარული და სამშენებლო სექტორები მოიცვა. 1955 წელს დაემატა რეგიონული განვითარების გეგმაც. გეგმის მიხედვით ინდუსტრიული გამოშვება 30%-ით, სოფლის მეურნეობის გამოშვება 20%-ით, ხოლო მშენებლობა 60%-ით უნდა გაზრდილიყო. ამ მიზნების დიდი ნაწილი, მიუხედავად ცენტრალიზებული მბრძანებლობის არარსებობისა, გადაჭარბებით შესრულდა 1957 წელს. მესამე გეგმა (1958-1961) უკვე აქტიურად იყენებდა შესავალ-გასავლის მატრიცებს (input-output matrix), ხოლო მეოთხე გეგმა (1962-1965) მთლიანად ინდიკატორული დაგეგმარების მოდელად იქცა.

ყოველი გეგმა ეფუძნებოდა კონკურენტუნარიანობის ზრდას და მოდერნიზაციას (Lieberman, 1977). 1970-1980 წლებამდე გეგმები ეფუძნებოდა საფრანგეთის ეკონომიკის გარდაქმნას თანამედროვე ტექნოლოგიური და საბაზრო მოთხოვნების მიხედვით, 1971-1975 წლების გეგმა კი, მსხვილი, საერთაშორისოდ კონკურენტუნარიანი კომპანიე-

ბის შექმნა იყო. მაგალითისთვის, ქიმიურ მრეწველობაში სახელმწიფო გეგმის მიხედვით განხორციელდა 4.7 მილიარდი დოლარის ინვესტიცია, რაც ხუთი მთავარი კომპანიის (ორი კერძო და სამი სახელმწიფო) ჩამოყალიბებით დაგვირგვინდა. ამ კომპანიებმა საკუთარი წილი 1977 წლისთვის 16%-იდან 37%-ამდე გაზარდეს. რიგით მეცხრე ხუთწლიანი გეგმა (1984-1988) უფრო მეტად სამეცნიერო განათლებისკენ და კვლევითი საქმიანობისკენ გადაიხარა. კვლევასა და განვითარებაზე ინვესტიციები გაორმაგდა. გეგმის მიხედვით განხორციელდა ქიმიური მრეწველობის რესტრუქტურალიზაცია ფარმაცევტული მედიკამენტების წარმოების სწრაფი განვითარებით. ამ ცვლილებების მეშვეობით კი, წამყვანმა ფრანგულმა კომპანიებმა შეიძინეს 13 ევროპული და 21 ამერიკული კომპანია 1985-1987 წლებში (Martinelli, 1991). საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთის ე.წ. „ბრწყინვალე 30“ მეტწილად სახელმწიფოს აქტიური ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი იყო.

დღევანდელი რამდენიმე პოლიტიკა

ბევრი ევროპული ქვეყანა კვლავ აქტიურად ეხმარება საკუთარ მეწარმეებს ეფექტურობის, სოციალური, ტექნოლოგიური განახლების საქმეში, სხვა სახელმწიფოს მიერ დასახული მიზნების ფირმებისთვის პირობებად წაყენების სანაცვლოდ.



გრაფიკი 19. *სახელმწიფოს დახმარება, როგორც ფერმერების მთლიანი (Gross) შემოსულობების % წილი. წყარო: OECD (2023), Agricultural support (indicator). doi: 10.1787/6ea85c58-en (Accessed on 12 January 2023)*

გრაფიკზე ვხედავთ, რომ ევროკავშირში სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის დახმარების მხოლოდ ფულადი ფორმა (პირდაპირი გადახდები) მეწარმეების შემოსავლების საშუალოდ 20%-ს შეადგენს, ხოლო ცალკეულ ქვეყნებში, როგორებიცაა: ნორვეგია, ისლანდია და შვეიცარია, ის ფერმერების ნახევარ შემოსავალს უტოლდება.

ეროვნული დონის პოლიტიკებთან ერთად ევროკავშირის დონეზე არსებობს „საერთო აგროპოლიტიკაც". 1985 წლისთვის ევროკავშირის ბიუჯეტის 73% „საერთო აგროკულტურულ პოლიტიკაზე" მოდიოდა. დღეისათვის მისი წილი შემცირებულია, თუმცა კვლავ ბიუჯეტის ყველაზე დიდი წილი, 37% უკავია. 2019 წელს ევროკავშირის „საერთო აგრარული პოლიტიკის" ფარგლებში არსებული ბიუჯეტის (რომელიც ივსება წევრი ქვეყნების ბიუჯეტებიდან, ანუ გადასახადებიდან) დაახლოებით 75% მწარმოებლებისა და ფერმერებისთვის პირდაპირ გადახდაზე მოვიდა. ფერმერებისთვის პირდაპირ გაიცა 38.2 მილიარდი ევრო (არა სესხების, არამედ პირდაპირი გრანტის სახით), სოფლის განვითარებაზე 13.8 მილიარდი, ხოლო 2.4 მილიარდი სხვა დაკავშირებულ ხარჯებზე. **საერთო ჯამში, ევროკავშირის საერთო ფონდებმა სოფლის მეურნეობის პროგრამებისთვის 2014-2020 წლებში 408 მილიარდი ევრო გამოყვეს.** გერმანიაში ყველაზე დიდი ათი ფირმის გაყიდვების, აქტივების ოდენობის და საბაზრო ღირებულების შეწონილი მაჩვენებლების მიხედვით, 11% სახელმწიფო კომპანიებს უკავიათ. ფინეთში ანალოგიური მაჩვენებელი 13%, საფრანგეთში 17%, ხოლო ნორვეგიაში 48%.[14] ამ მონაცემებში არ შედის კომუნალური მომსახურეობის ფირმები, ფოსტები და ა.შ.. ნორვეგიაში დღეს ელექტროწარმოების უდიდესი ნაწილი სახელმწიფო და რეგიონულ მფლობელობაშია.

გერმანული საბანკო სისტემა

გერმანიის მცირე და საშუალო ბიზნესი ქმნის ქვეყნის დამატებული ღირებულების დაახლოებით ნახევარს. უმნიშვნელოვანესია ის, რომ ამ ტიპის საწარმოები არ წარმოადგენენ მხოლოდ ადგილობრივი ბაზრის მოთამაშეებს. 2014 წელს მცირე და საშუალო საწარმოებს შორის, რომლებსაც 20-დან 499-მდე თანამშრომელი ჰყავდათ, ექსპორტიორი იყო 90%, რაც მიუთითებს ამ საწარმოების მაღალ კონკურენტულობაზე. საწარმოების დიდი ნაწილი ჩართულია მაღალ ტექნოლოგიურ დარგებში და აქტიურ ინვესტიციებს ახორციელებენ კვლევებში.

[14] იხილეთ სტატია:
https://cepr.org/voxeu/columns/state-owned-enterprises-global-economy-reason-concern

ცხრილი 3

	„დიდი ბანკები“ (კომერციული)	შემნახველი ბანკები	კოოპერატიული ბანკები
მესაკუთრეები	მეწილეები	მუნიციპალიტეტები	დეპოზიტორები
მიზნები	მოგების მაქსიმიზაცია	მოგების ოპტიმიზაცია + რეგ. ეკონომიკური განვითარება	მოგების ოპტიმიზაცია + წევრების განვითარება
აქტივები სულ %	38.2%	27%	9.2%
სესხების % (არა ბანკთაშორისი)	28%	36%	16%
ტერიტორია	ქვეყნის დონე	რეგიონული	რეგიონული

წყარო: *Bülbül, D., Schmidt, R. H., & Schüwer, U. (2013).*

ცხრილში მოცემულია 2012 წლის მონაცემები. ციფრები 100%-მდე არ მრგვალდება, რადგან ასევე არსებობს „სხვა ბანკები“, რომელთა ფუნქციებიც სხვადასხვაგვარია. მასში შედის როგორც იპოთეკური, ისე სპეციალიზებული და სახელმწიფო ბანკები (მაგალითად, გერმანიის რიგით მეორე უდიდესი ბანკი KfW). **მნიშვნელოვანია ის, რომ გერმანიის საბანკო სექტორის ნახევარი ოპერირებს არა მოგების, არამედ ეკონომიკის განვითარების იმპერატივით.** ამასთან ერთად, განვითარებაზე ორიენტირებული ბანკები მიმაგრებულნი არიან რეგიონებზე და მათ არ შეუძლიათ სხვაგან ოპერირება, რაც ქმნის განსაკუთრებულ ქსელს მომხმარებლებსა და ბანკებს შორის. **ამის საპირისპიროდ, საქართველოში ოპერირებენ მხოლოდ მოგების მაქსიმიზაციაზე ორიენტირებული ბანკები, რაც ეკონომიკის განვითარების პერსპექტივაზე უარყოფითად მოქმედებს. საჯარო დაწესებულებების აქტივების წილი ქართულ საბანკო ბაზარზე 0%-ის ტოლია.**

დასკვნა

ჩვენ სტატიაში გადმოვეცით მხოლოდ მცირედი ნაწილი იმ განსხვავებებისა, რომელიც საქართველოსა და ევროპას შორის არსებობს. ეს განსხვავებები იმას არ დავაფუძნეთ, რომ ევროპა უფრო მდიდარია, ხოლო საქართველო ღარიბი, არამედ იმას, რომ ევროპა სხვანაირადაა მოწყობილი, სხვაგვარად ვითარდებოდა და საქართველო სხვაგვარად ვითარდება.

ეს განსხვავებები გამოიხატება შემდეგში: 1. ევროპაში სახელმწიფო ხარჯავს ეკონომიკაში წარმოებული ღირებულების ნახევარზე მეტს. ამის საპირისპიროდ საქა-

რთველოში არსებობს მცირე დანახარჯების სიკეთის დოგმა. 2. ევროპაში სახელმწიფო ახდენს საქართველოზე ორჯერ მეტი საგადასახადო შემოსავლის მობილიზებას და ის პროგრესულია. საქართველოში პროგრესული გადასახადები კანონითაა აკრძალული. 3. ევროპაში სოციალური ხარჯვის სისტემა ახდენს შესაძლებლობების გათანაბრებას და სახელმწიფო მოქმედებს იქამდე, სანამ ადამიანი გაღარიბდება ან მარგინალიზდება. საქართველოში სოციალური ხარჯვა მინიმალურია და მხოლოდ იმ დროს მიემართება ადამიანს, როდესაც ის უკვე დაეცემა საზოგადოებრივი იერარქიის ბოლო საფეხურზე, შესაბამისად, ეს სისტემა ახდენს სიღარიბისა და უთანასწორობის კვლავწარმოებას. 4. ევროპულ მოდელში ისტორიულად და დღესაც სახელმწიფო გვევლინება როგორც განვითარების დამგეგმარებელი. ამაში იგულისხმება სხვადასხვა ტიპის გეგმებისა და პრიორიტეტების შემუშავება, ინდუსტრიული და განათლების პოლიტიკის გატარება და შეკავშირება, ბიზნესის კოორდინირება, პრაგმატული პროტექციონიზმი და სხვა პოლიტიკები. საქართველოში ეს ფუნქციები სახელმწიფოს უარყოფილი აქვს. 5. ევროპულ მოდელში ჯანდაცვა, განათლება და სხვა ტიპის სიკეთეები საბაზრო მიმოცვლის მიღმაა, საქართველოში ეს საბაზრო საქონლადაა ქცეული.

ბიბლიოგრაფია:

1. Adams, William J., Restructuring the French Economy: Government and the Rise of Market Competition since World War II, Washington: Brookings Institution (1989).

2. Ardagh, John. 1973. The New France. 2d ed. Harmondsworth: Penguin.

3. Briggs, A. (1961). The Welfare State in Historical Perspective. *European Journal of Sociology / Archives Européennes de Sociologie / Europäisches Archiv Für Soziologie, 2(2)*, 221–258. http://www.jstor.org/stable/23987939

4. Bülbül, D., Schmidt, R. H., & Schüwer, U. (2013). *Savings banks and cooperative banks in Europe* (SAFE White Paper No. 5). Goethe University Frankfurt, SAFE – Sustainable Architecture for Finance in Europe. http://hdl.handle.net/10419/88684

5. Cameron, R. (1989). Modern Europe – Handbuch der europäischen Wirtschafts- und Sozialgeschichte. Vol. 6: Europäische Wirtschafts – und Sozialgeschichte vom ersten Weltkrieg bis zur Gegenwart. Edited by Wolfram Fischer. Stuttgart: Klett-Cotta, 1987. Pp. xvii, 1,136. *The Journal of Economic History, 49(3)*, 731-732. doi:10.1017/S0022050700008913

6. ESPING-ANDERSEN, G. (1998). The Three Political Economies of the Welfare State. In J. S. O'CONNOR & G. M. OLSEN (Eds.), *Power Resource Theory and the Welfare State: A Critical Approach (pp. 123-153)*. University of Toronto Press. http://www.jstor.org/stable/10.3138/9781442678675.10

7. Grabas, C., & Nützenadel, A. (2014). Industrial policy in Europe after 1945 : wealth, power and economic development in the Cold War.

8. GRÜNWALD, Oskar. 1980 annals of public and cooperative economics Volume51, Issue4.

9. Hansjörg Herr and Zeynep M. Nettekoven, (2019). The Role of Small and Medium-sized Enterprises in Development. Tbilisi. FES South Caucasus.

10. Kerr, C., Dunlop, J.T., Harbison, F. and Myers, C.A. (1960) Industrialism and Industrial Man. New York: Oxford University Press.

11. Korpi, W. (1980) 'Social policy strategies and distributional conflict in capitalist democracies', West European Politics, 3 (3): 296-316.

12. Korpi, W. (1983). The Democratic Class Struggle (1st ed.). Routledge. https://doi.org/10.4324/9780429441714

13. KORPI, W. (1998). Power Resources Approach vs Action and Conflict: On Causal and Intentional Explanations in the Study of Power. In J. S. O'CONNOR & G. M. OLSEN (Eds.), *Power Resource Theory and the Welfare State: A Critical Approach (pp. 37–69).* University of Toronto Press. http://www.jstor.org/stable/10.3138/9781442678675.7

14. Martinelli, F. (1991). A demand-oriented approach to understanding producer services. The changing geography of advanced producer services, 15-30.

15. Monnet, Eric . 2012: Financing a planned economy. Institutions and credit allocation in the French Golden age of growth (1954-1974). Paris School of Economics

16. Myles, J. and Quadagno, J. (2002) 'Political theories of the Welfare State', Social Service Review.

17. Stephens, J. (1979) The Transition from Capitalism to Socialism. London: Macmillan.

18. Sztajerowsk ,M. Egeland,M. Kowalski,P. Büge,M. (2013, May 2). "State-owned enterprises in the global economy: Reason for concern?" cepr

19. Tsagareli, A., Zhorzholiani, G., Duduchava, G., Archvadze, I., & Muskhelishvili, M. (2021). (In)equality in Georgia]: [Anthology of articles. Friedrich-Ebert-Stiftung.

20. Wilensky, H.L. (1975) The Welfare State and Equality. Berkeley, CA: University of California Press.